# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალ-ხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


სამშაბათი, 29 იანვარი. 2019 წ. №19 (8685) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## სირცხვილი შენ, PENSIO



**ლათინური ტერმინი PENSIO (პენსია) სახელმწიფოს მხრიდან თავისი ხანდაზმული ან უძლური მოქალაქისადმი დამსახურების მიხედვით რეგულარულ მატერიალურ (ფულად) ანაზღაურებას ნიშნავს**

4

## საქართველოს ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ეწვევა



**მიმდინარე წლის მარტში საქართველოს ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ეწვევა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ინფორმაციით, იენს სტოლტენბერგი ნატო-საქართველოს ერთობლივი სწავლების დროს ჩამოვა.**

ფართომასშტაბიან სწავლებაში მონაწილეობას 22 ქვეყანა მიიღებს და მას საქართველოს თავდაცვის ძალები უხელმძღვანელებს.

**„წელს ნატოსთან თანამშრომლობა იღებს კიდევ უფრო ფართომასშტაბიან ხასიათს. კიდევ უფრო მეტი ნატო იქნება საქართველოში, ვინაიდან ერთად ამბიციურ სწავლებებს ვგეგმავთ, რომელიც მარტში ჩატარდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად მსგავსი ტიპის სწავლებებს სრულად უხელმძღვანელებს საქართველოს თავდაცვის ძალების ხელმძღვანელი რგოლი. შესაბამისად, როგორც ამ სწავლების დაგეგმარება, ისე აღსრულების პროცესი მთლიანად ქართული თავდაცვითი ძალების პრეროგატივა და პასუხისმგებლობა იქნება, რაც კიდევ ერთხელ არის იმის დასტური, რომ ჩვენ ნატოსთვის სანდო პარტნიორი ვართ. 22-მა ნატოს წევრმა და პარტნიორმა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ სწავლებაში.**

**ამ აღიარების დასტურია სტრატეგიულ დონეზე დაგეგმილი ვიზიტებიც, რომელიც 2019 წელს შედგება. უკვე დაანონსდა საქართველოში ნატოს გენერალური მდივნის ვიზიტი მარტის თვეში, როდესაც ეს სწავლებები ჩატარდება. ასევე, ველოდებით სამხედრო კომიტეტის ვიზიტს საქართველოში. ეს დინამიკა მართლაც შეუქცევადი და უპრეცედენტოა,“** — განაცხადა ლევან იზორიამ.

## საქართველო არ უნდა იქცეს საერთაშორისო დაპირისპირების ასპარეზად!..

9

## ისტორიის გამჭრიახი თვალი

5

### გელა ჩარკვიანი

## ღმერთი არ გაწირავს მამაცებს!..



რუინის ფარდიდან აბრეშუმის გზამდე

ფოტოგამოფენა ეძღვნება ედუარდ შევარდნაძის ხსოვნას

## სალომე ზურაბიშვილი:

## საქართველოს შეუძლია, გახდეს ევროკავშირის წევრი ისე, რომ წევრი არ ერქვას!



**საქართველო ევროკავშირს ახალ ინიციატივას შესთავაზებს, რომელიც ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოებას გულისხმობს,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა euradio.fr-სთან ინტერვიუში განაცხადა.

**„საქართველომ აირჩია პროევროპელი პრეზიდენტი. ყველა გამოკითხვა აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტი მხარს უჭერს ევროპულ ორიენტაციას. ჩვენ ეს ევროპული პრიზმა კონსტიტუციაშიც კი ჩავწერეთ, რომელიც დეკემბერში შევიდა ძალაში. საქართველო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ კლასში საუკეთესო მოსწავლეა და ასრულებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას. ახლა კითხვა შემდეგია, საით მივემართებით? ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმ გაურკვევლობის ფონზე, რომელიც ევროკავშირში ბრექსითისა და ევროპული პოპულიზმის აღზევების ფონზე არსებობს. ამ კრიზისებიდან ერთ-ერთმა შესაძლოა, ევროკავშირის კონფიგურაცია შეცვალოს. საქართველო ერთ-ერთი პირველია, ვინც მოვლენების განვითარებას ელოდება. ბრექსითიმ შესაძლოა, ახალი შესაძლებლობები გააჩინოს. შეიქმნება ახალი არასტანდარტული ფორმატები, რომელთა გამოყენებაც საქართველოს შეეძლება. ჩვენი იდეაა, ვისარგებლოთ ევროპული არჩევნების გადამწყვეტი მომენტითა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის 10 წლის იუბილეთი, მოვაწყოთ კონფერენცია ბათუმში, სადაც ევროკავშირის წევრებსა და ასოცირებულ სახელმწიფოებს მოვიწვევთ. სწორედ ასოცირებულმა სახელმწიფოებმა უნდა გააკეთონ შეთავაზებები, რადგან ევროკავშირს მომავალზე ფიქრისთვის და ახალი იდეების წამოყენებისთვის ჯერ დრო არ ექნება. ვეცდებით, ამით ვისარგებლოთ და ჩვენი იდეებითა და შეთავაზებებით შევავსოთ თავისუფალი სივრცე“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა სამოქმედო გეგმაზეც ისაუბრა, რომლის შეთავაზებასაც საქართველო ევროკავშირისთვის გეგმავს.

**„იმ სამოქმედო გეგმის მთავარი იდეა, რომლის წარდგენასაც ბათუმში ვაპირებთ, არის ის, რომ საქართველოს შეუძლია, გახდეს ევროკავშირის წევრი ისე, რომ წევრი არ ერქვას. ჩვენ უკვე გავაფორმეთ სატრანსპორტო შეთანხმება, ისეთი პროგრამები, როგორიცაა Erasmus-ი, საქართველოს სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. კარგად უნდა დავფიქრდეთ და წარვადგინოთ შეთავაზებების კონკრეტული სია, რომელიც ჩვენს ინტერესებს გამოხატავს. მათ შორის გარემოს დაცვა, შრომითი კანონმდებლობა, ეს არის რამდენიმე სფერო, რომელშიც რესურსები გვჭირდება“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, რით შეიძლება, საქართველომ ევროკავშირი მოხიბლოს, სალომე ზურაბიშვილი პასუხობს, რომ „საქართველო რთულ რეგიონში სტაბილურობის კუნძულია.“

**„ეს ასეა ოკუპირებული ტერიტორიებისა და რუსეთის აგრესიული თამაშების მიუხედავად, რომელიც აგრძელებს ჩვენზე ზეწოლას, განსაკუთრებით ე.წ. გამყოფ ხაზებთან. საქართველო სტაბილურობის ღუზაა ევროკავშირის ახლო სამეზობლოში. დღეს ასევე ვხედავთ სომხეთს, რომელიც საქართველოს გამოცდილებას იყენებს ევროკავშირთან დაახლოებისთვის. ერევანი ამ გზას ჩვენს შემდეგ გადის. ეს აჩვენებს, რომ საქართველო მარტო არ არის. აზერბაიჯანიც დაინტერესებულია ევროკავშირთან ურთიერთობებით“,** — აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.

## კორპუსებში გაზის დეტექტორების დამონტაჟება სავალდებულო გახდება

9

# „პატრიოტთა ალიანსი“ პატრიარქსა და სინოდს მოუწოდებენ, არ აღიარონ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია



„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერები ირმა ინაშვილი და დავით თარხან-მოურავი საქართველოს პატრიარქსა და წმინდა სინოდს მოუწოდებენ, არ აღიარონ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია. ამის შესახებ ნათქვამია წერილში, რომელიც ინაშვილმა და თარხან-მოურავმა პატრიარქსა და წმინდა სინოდს გაუგზავნეს.

**„ჩვენ გაოგნებული დავრჩით 2016 წელს მსოფლიო პატრიარქის მიერ კუნძულ კრეტაზე მოწვეული კრების გადაწყვეტილებებით, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის პავლე მოციქულის ეპისტოლეთა სულისკვეთებასთან და მე-6 მსოფლიო კრების დადგენილებებთან. კრეტის კრებამ უდავოდ გააჩინა ბზარი მართლმადიდებელთა შორის. სამწუხაროდ, ეს ბზარი მწვავე განხეთქილებაში გადაიზარდა მას შემდეგ, რაც მსოფლიო პატრიარქმა უკრაინას გადასცა განჩინება ავტოკეფალიის შესახებ. ვფიქრობთ, ყველასთვის ნათელია, რომ ეს განჩინება პირობას უქმნის უკრაინაში ორი მართლმადიდებელი ეკლესიის არსებობას. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პატრიარქის მიერ აღიარებულ ეკლესიას ავტოკეფალური ეწოდება, დღეს ამ ეკლესიას ნაკლები უფლებები აქვს, ვიდრე უკრაინის თვითმმართველ მართლმადიდებელ ეკლესიას რუსეთის ეკლესიის შემადგენლობაში. ამასთან, მომავალშიც, თუკი უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის უფლებები გაიზრდება, მსოფლიო პატრიარქის განჩინებიდან გამომდინარე, ორივე ეკლესია დაახლოებით ერთნაირ მდგომარეობაში აღმოჩნდება. სინამდვილე კი ისაა, რომ მსოფლიო პატრიარქი უკრაინაში თავისი გავლენის ქვეშ მყოფ ეკლესიას აფუძნებს, ქმნის მონასტრებს თავის დაქვემდებარებაში და ასევე თავის დაქვემდებარებაში გადაჰყავს უკრაინელი მრევლი ამერიკაში, კანადასა თუ სხვა ქვეყნებში. საბოლოო ჯამში ამ ყველაფერმა, ფაქტობრივად, უფსკრული გააჩინა მართლმადიდებლობის წიაღში.**

**თავს უფლებას მივცემთ, გაცნობოთ, რომ ზუსტად ამგვარ სქემაზე საუბრობს სოხუმი თითქმის 20 წელია. მეტიც, გვიჩნდება განცდა, რომ მსოფლიო პატრიარქმა სოხუმის მიერ შემუშავებულ სქემას ხორცი უკრაინაში შეასხა. ცხადია, თქვენ იცით, რომ სერბი სამღვდელოება ღიად საუბრობს ამ სქემის განმეორების საფრთხეზე მაკედონიასა და ჩერნოგორიაში; ანტიოქიის ეკლესიასაც აშინებს ამავე სქემის განმეორება ლიბანში. სოხუმი კი ამ სქემის ხორცშესხმის მოლოდინშია.**

**ალბათ, ზემოაღწერილით აიხსნება ის ფაქტი, რომ მსოფლიოში დღეს მოქმედი ცამეტი ავტოკეფალური ეკლესიიდან ხუთმა ერთმნიშვნელოვნად დაგმო მსოფლიო პატრიარქის მოქმედება, კიდევ ექვსი, ფაქტობრივად, უარყოფითად შეხვდა და ამ თერთმეტიდან ცხრამ ღიად იქადაგა განხეთქილებაზე მართლმადიდებლობის წიაღში.**

**მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძალზედ გულნატკენნი ვართ რუსეთის სახელმწიფო და საეკლესიო პოლიტიკით სოხუმსა და ცხინვალში, მოწიწებითა და თავმდაბლობით გთავაზობთ, – რუსეთს უკრაინაში ვუპასუხოთ საპირისპირო ქმედებით, ვუპასუხოთ კანონიკური, სამართლიანი და ჭეშმარიტად მართლმადიდებლური პოზიციით, ანუ ცალსახად უარყოფითად შევაფასოთ მსოფლიო პატრიარქის ქმედებანი უკრაინაშიც და 2016 წლის კრეტის კრებაზეც. ჩვენი აზრით, ეს მართებული იქნება რელიგიური თვალსაზრისით და, ამავდროულად, პოლიტიკური და საზოგადოებრივი თვალსაზრისით სიკეთის მომტანიც იქნება საქართველოს სახელმწიფოსთვის.**

**უდიდესი გულისტკივილით უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს ჩვენი საზოგადოების უკლებლივ ყველა წევრი, განურჩევლად ასაკისა თუ პროფესიისა, ღიად საუბრობს მწვავე დაპირისპირებაზე დედაეკლესიის წიაღში და, ბუნებრივია, ჩვენც ვერ ავუვლით გვერდს ამ თემას“,** – ნათქვამია წერილში.

# პეტრე ცაავას, მეუფე გრიგოლსა და მეუფე საბასაც, ალბათ, დაავიწყდათ, რომ ეკლესია NGO არ არის!

**თავს ვალდებულად ვგრძნობთ, გაგიზიაროთ ჩვენი განცდა, რომ არა მხოლოდ პეტრე ცაავას, არამედ მეუფე გრიგოლს (ბერბიჭაშვილს) და მეუფე საბასაც (ინწკირველს), ალბათ, დაავიწყდათ, რომ ეკლესია NGO არ არის და აზრთა სხვადასხვაობა სინოდის ფარგლებს არ უნდა გასცდეს,** – ამის შესახებ ნათქვამია წერილში, რომელიც ირმა ინაშვილმა და დავით თარხან-მოურავმა პატრიარქსა და წმინდა სინოდს გაუგზავნეს.

**„წუხილით უნდა აღვნიშნოთ, რომ პეტრე ცაავას ნამდვილად ვერ აღვიქვამთ მეუფედ, რადგან იგი ნამდვილად არ წარმოადგენს სიყვარულის, დიდსულოვნებისა თუ თვინიერების მაგალითს. მისი აშკარა და დაუმალავი უპატივცემულობა პატრიარქისა თუ წმინდა სინოდის მიმართ, მისი გამომწვევი და ცილისმწამებლური განცხადებები აზიანებს და სახელს უტეხს დედაეკლესიას. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: მრევლის აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ პეტრე ცაავა ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი აღარ უნდა იყოს.**

**თავს ვალდებულად ვგრძნობთ, გაგიზიაროთ ჩვენი განცდა, რომ არა მხოლოდ პეტრე ცაავას, არამედ მეუფე გრიგოლს (ბერბიჭაშვილს) და მეუფე საბასაც (ინწკირველს) ალბათ დაავიწყდათ, რომ ეკლესია NGO არ არის და აზრთა სხვადასხვაობა სინოდის ფარგლებს არ უნდა გასცდეს. გასაოცარია, რომ დღეს ზოგიერთი მეუფე, ფაქტობრივად, პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს, საგარეო სტრატეგიასა და გეოპოლიტიკურ ინტერესებზე საუბრობს, მაშინ, როცა სააკაშვილბოკერიას დამნაშავე რეჟიმის პირობებში, ადამიანების ფიზიკური განადგურებისა და წამების დროს, უამრავი მეუფე დუმდა და ამ დუმილს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამიჯნულობით ხსნიდა.**

**მრევლისთვის გამაოგნებელი და გაუგებარია არაერთი მეუფის უკმაყოფილება მიტროპოლიტ შიოს (მუჯირის) საპატრიარქო ტახტის მოსაყდრეობის გამო, ზოგიერთს კი საკუთარი თავი მიაჩნია უფრო ღირსეულად. შეშფოთებული მრევლიც დღეს უკვე ღიად კითხულობს – სად არის აქ თავმდაბლობა, სიმშვიდე და მორჩილება?!**

**ბუნებრივია, ამ წერილით ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვსურს ვითარების გამძაფრება, ჩვენ გულწრფელად გვიყვარს პატრიარქი, თავს მის სულიერ შვილებად მივიჩნევთ და, ცხადია, სინოდის წევრების უმრავლესობას უაღრესად ვაფასებთ და დიდ პატივს ვცემთ.**

**ჩვენ, უბრალოდ, არ გვინდა, რომ ეკლესიაში არსებული დაძაბულობა გადაიზარდოს დიდ განხეთქილებასა და მძაფრ დაპირისპირებაში, და, მით უფრო, არაფრით არ გვსურს, რომ ხალხი მოწყდეს დედაეკლესიას“,** – ნათქვამია წერილში.

# გიჟლარა სააკაშვილს რამდენი სისულელეც „დასძვრა“, გვარამიამ ხელიდან არ გაუშვა

72 საათი ჩემი თავისუფლად სიარული საქართველოში და ივანიშვილი გაქრება საერთოდ, აღარ იარსებებს“, – განაცხადა საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გადაცემა „კვირის აქცენტებში“.

**„იმ წუთში, როცა მე ჩავთვლი, რომ საქართველოს აქტიური ნაწილი და ოპოზიცია არის მზად, უზრუნველყოს ჩემი 72-საათიანი თავისუფალი გადაადგილება საქართველოში, მე გავჩნდები საქართველოში. ეს არის სცენარი მშვიდობიანი გზით მათი მოშორების,“** – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს მესამე პრეზიდენტის თქმით, ის მზად არის ნებისმიერი სცენარისთვის, თუნდაც იმ სცენარისთვის, რაც დამართეს ზვიად გამსახურდიას ხიბულაში.

**„მე არც გიჟი ვარ, მიუხედავად იმისა, რასაც მაბრალებენ და არც თვითმკვლელი. მე არ მითქვამს, რომ მე მინდა ეს სცენარი და მე არ მითქვამს, რომ მე მზად ვარ, პირდაპირ თავი გავყო იმაში, რასაც ისინი ამზადებენ. მაგრამ მაშინ, როდესაც ებრძვი ასეთ მონსტრს, როდესაც ნებისმიერი სცენარისთვის მზად უნდა იყო. როდესაც გიჟებმა საგიჟეთში ჩაკეტეს ექიმები, საქართველოს ხელისუფლება მაგას მაგონებს და თამაშობენ ექიმობანას. ახლა მთავარია, ამ გიჟების განეიტრალება ტრაგედიების გარეშე, მსხვერპლის გარეშე და ძალადობის გარეშე“...**

### მაქვს მობილიზებული 10 მლრდ-მდე აშშ დოლარი საქართველოში პირდაპირი ინვესტიციებისთვის

**„მე არც ერთ წუთს არ ვკარგავ ფუჭად. ვხვდები სრულიად სხვადასხვა ხალხს, ვხვდები ბიზნესმენებს, ვხვდები ემიგრაციის წარმომადგენლებს. აქ არის საუკეთესო ნაწილი ჩვენი საზოგადოების, მაგრამ ეს არის ტრაგედია, ასევე რაც ხდება. მაგალითად, როდესაც საქართველოს სახმელეთო ჯარების სარდალი, რომლის მომზადებაში, გაწვრთნაში ჩაიდო უამრავი ენერგია, ფული და აქ მუშაობს მტვირთავად, კატასტროფა ხდება ქვეყანაში. როდესაც უმაღლესი კლასის პროფესიონალები, ექიმები, ინჟინრები, ტექნოლოგები აქ არიან ტაქსის მძღოლები და ა.შ. ეს არის ქვეყნისთვის უბედურება“...**

სააკაშვილის თქმით, მისი ამოცანაა, ახალი სახეების და ადამიანების აღმოჩენა. სააკაშვილი ამბობს, რომ მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს საქართველოში უფრო მეტი ადამიანი შემოდიოდა, „ქართული ოცნების“ პირობებში კი ქვეყანას უამრავი ადამიანი ტოვებს.

**– მე მაქვს მობილიზებული, ჩემი აზრით, 10 მილიარდამდე ამერიკული დოლარი საქართველოში პირდაპირი ინვესტიციებისთვის. ეს არის ის, რასაც ბიზნესმენები ჩადებენ აუცილებლად, მათ შორის ქართული დიასპორის ბიზნესმენები და არა მხოლოდ. საქართველოში, როგორც კი ივანიშვილის რეჟიმი იქიდან მოშორდება.**



### ივანიშვილი წელს აპირებს, დახუროს „რუსთავი-2“

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა იმ გეგმებზე ისაუბრა, რომელიც, მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილს აქვს, მათ შორის არის „რუსთავი-2-ის“ ხელში ჩაგდება.

**„ივანიშვილის ხელიდან თქვენ უკვე დახურული ხართ. ის აპირებს შემდეგ რაღაცებს წელს, ის აპირებს, დახუროს „რუსთავი-2“. შეზღუდოს Facebook-ზე პოსტები და მთელი აქტივების ხელში ჩაგდებას. ის, რასაც ის აკეთებს ახლა, „თიბისი ბანკს“ იგდებს ხელში. მას უნდა იყოს, ერთადერთი მევახშე, მხოლოდ მას ჰქონდეს ჩაყოფილი ქართველების ჯიბეში ხელი,“** – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. მიხეილ სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ბიძინა ივანიშვილის მცდელობა, საქართველო აქციოს რუსეთად, კრახით დასრულდება, რადგან ის მიიღებს ვენესუელის მსგავს მოვლენებს.

**ძვირფასო მკითხველო, ბოდიშს გიხდით, ამ გიჟის ნაბოდვარს სერიოზული გაზეთის ფურცლებზე რომ ვბეჭდავთ. ამას მხოლოდ იმიტომ ვაკეთებთ, რომ „რუსთავი-2“-ის სახე დაგანახოთ, თუ როგორ მოუწოდებს გვარამია იდიოტ სააკაშვილსა და ნაცებს სახელმწიფო გადატრიალებისკენ...**

# სებ-ის ვიცე-პრეზიდენტად პაპუნა ლეჟავა დაინიშნა

**2018 წლის 13 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა 7 წლის ვადით ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად პაპუნა ლეჟავა აირჩია.**

**ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის მიხედვით, ვიცე-პრეზიდენტებს – ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭო. პაპუნა ლეჟავა 2015 წლიდან მუშაობდა ვაშინგტონში, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში; 2013-2015 წლებში იყო მსოფლიო ბანკის ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორის მრჩეველი; 2010-2013 წლებში საქართველოს ეროვნულ ბანკში სხვადასხვა პოზიციებს იკავებდა.**

# „არასდროს გვინახავს ნატოსა და ევროკავშირის ამხელა მხარდაჭერა მოსახლეობაში“

NDI-ს საქართველოს ოფისის დირექტორის ლორა ტორნტონის შეფასებით, კვლევისას რამდენიმე ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა.

**„არასდროს გვინახავს ნატოსა და ევროკავშირის ამხელა მხარდაჭერა მოსახლეობაში. განსაკუთრებით ეს ნატოს ეხება. ზოგიერთ მაჩვენებელში ევროკავშირს მეტი ქულა აქვს, მაგრამ ნატოს მხარდაჭერა ნახტომისებრ გაიზარდა. მით უმეტეს, რომ ალიანსის მაჩვენებელი გაუმჯობესებულია იქ, სადაც ეთნიკური უმცირესობები ცხოვრობენ,“** – აცხადებს ლორა ტორნტონი.



# სიღარიბის მრავალგანზომილებიანი ფენომენი

**ამჟამად მსოფლიოში 200-ზე მეტი ქვეყანაა. მათ შორის არიან მდიდრებიც და ღარიბებიც. ჟურნალ Global Finanse-ს მონაცემების მიხედვით მსოფლიოს ყველაზე მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის საქართველოს 189 ქვეყნიდან 108-ე ადგილი უკავია ერთ სულ მოსახლეზე 410,099 შემოსავლით.**

სიღარიბე მრავალგანზომილებიანი ფენომენია, სიღარიბის გამომწვევი მიზეზები ერთობ რთულია. ზოგჯერ სიღარიბე მენტალურიც არსებობს, ხოლო ზოგჯერ ჰგონიათ, რომ სიღარიბე მხოლოდ ქვეყანაში არსებული წყობის და მთავრობის ბრალია, რის გამოც ხშირად ადგილი აქვს ამბოხს და რევოლუციებს. მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბეს ძირითადად უკავშირებენ ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, დღეს ბევრი აღიარებს, რომ სიღარიბე ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან ერთად აუცილებლად არ მცირდება (მაგ. პოლონეთი.).

რაც შეეხება სიღარიბის პრობლემას საქართველოში: ჩვენი ხალხი საუკუნეების განმავლობაში სიღარიბეში ცხოვრობდა, ამის სადემონსტრაციოდ არ არის საჭირო რაიმე განსაკუთრებული სტატისტიკური მონაცემები. საკმარისია გადავხედოთ ბოლო საუკუნეების ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებს, რომლებშიც ყველგან ლაპარაკია ხალხის უკიდურეს სიდუხჭირეზე, სასოწარკვეთილებასა და სილატაკეზე. გავიხსენოთ „გოგია უიშვილი“, „ღვინია გადაიჩეხა,“ „მაგდანას ლურჯა,“ „პალიასტომის ტბა“ და ა.შ. მთავარი პრობლემა კი ის არის,რომ ვერც დრომ, ვერც ჩვენი ქვეყნის მართვის პოლიტიკური სისტემის ცვლილებებმა (ჯერ ფეოდალიზმი, შემდეგ სოციალიზმი, ამჟამად კაპიტალიზმი), რომ არაფერი ვთქვათ მთავრობების ცლილებებზე, ჯერ კიდევ ვერ მოახდინა კარდინალური გარდატეხა ქვეყანაში გამეფებულ სიღარიბეზე და, რაც მთავარია, ვერ შეიქმნა სათანადო საფუძველი, რათა საქართველოს ეკონომიკა, ხალხის ცხოვრების დონე (ზოგიერთი მაჩვენებლის გარდა) რამდენადმე მიახლოებული ყოფილიყო საშუალო ევროპული ქვეყნების მაჩვენებლებთან.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ქვეყანა ამჟამად, ერთი შეხედვით ნამდვილად არ ტოვებს ღარიბი ქვეყნის შთაბეჭდილებას. ქალაქში თითქმის ყოველ მეორე ოჯახს ჰყავს ავტომანქანა (თუგინდ მეორადი); ბავშვებიდან დაწყებული მოზრდილებით დამთავრებული ქუჩაში თითქმის ყველას ხელში უჭირავს სმარტფონები ან ძვირადღირებული აიფონები; ზოგადად სასურსათო მაღაზიებში ხალხის ნაკლებობაც არ იგრძნობა, ხოლო რესტორნებში ხშირად თავისუფალ ადგილს ვერ ნახავ. მიუხედავად ამისა, ყოველივე ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის მთელი მოსახლეობის კეთილდღეობის მაჩვენებლად, რამდენადაც საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის წარმოდგენილი საშუალო კლასი, ხოლო სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების რაოდენობა 21-22 პროცენტის ფარგლებშია.

რა თქმა უნდა, პოსტკომუნისტურ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი საქართველოში გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა, რუსეთის აგრესიამ, დავკარგეთ ტერიტორიის 20 პროცენტი, ქვეყანაში არსებულ ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას დაემატა ლტოლვილთა დიდი ნაკადი.

საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა. ქართველები უძველესი ხალხია მსოფლიოში. ქვეყანას აქვს უნიკალური ბუნებრივი სიმდიდრეები, მდინარეები, ტბები, ტყეები, მთები, შესანიშნავი კლიმატი, აქვს ზღვაზე გასასვლელი, მდიდარია სულიერი და კულტურული წარსულით.

ამასთან ერთად, საქართველო აგრარული, მცირემიწიანი ქვეყანაა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (სახნავ-სათესი მიწა) ქვეყნის მთელი ფართობის მხოლოდ 16 პროცენტს შეადგენს, ხოლო მოსასახლეობის დიდი ნაწილი (40%) ამჟამადაც სოფლის მეურნეობით არის დაკავებული (ძირითადად ფერმერულ, ნატურალურ მეურნეობას ეწევა). ასეთი თანაფარდობა თანამედროვე, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი არ არის. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სოფლის მეურნეობაში ჩართულია შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი, ხოლო გერმანიაში სოფლის მეურნეობით, სატყეო საქმიანობით, მეთევზეობით — შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 2,5 პროცენტია დაკავებული, დანარჩენი — 65,6 პროცენტი მომსახურების სფეროში, 31,9 პროცენტი —მრეწველობასა და მშენებლობაში არიან დასაქმებულნი.

სიღარიბე, ამა თუ იმ დონით, ყველა ქვეყანაში გვხვდება, ზოგჯერ სიღარიბე გადაეცემა თაობიდან თაობას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ნავთობზე აშენებულ“ ღარიბ ქვეყნებს, სადაც ეკონომიკური სასწაულები მოხდა. სხვადასხვა ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში არსებული სიღარიბის აღმოფხვრა ურთულესი პრობლემაა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყანას და მთავრობას მუდმივად ჰქონდა და აქვს ამის სურვილი. თვით ზესახელმწიფო აშშ, თავისი ზემძლავრი ეკონომიკით, დიდი სამეცნიერო პოტენციალით (მარტო ეკონომიკის დარგში 20 ნობელის პრემიის ლაურეატი ჰყავს!) ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას მის უშუალო საზღვრებთან ლათინური ამერიკის ქვეყნებში არსებულ სიღარიბეზე, რომელიც მსოფლიოში ყველაზე უთანასწორო რეგიონია (აქ 40 მილიონი ქუჩის მაწანწალა ბავშვია), რის გამოც ხდება მექსიკის საზღვარზე ამ ქვეყნებიდან გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ხალხის უკანონო მიგრაცია აშშ-ში. რაც მთავარია, ამერიკის მთავრობას, ამ პროცესისგან თავი რომ დაიცვას, უნდა ეს პრობლემა „მარტივად“ გადაწყვიტოს — ამერიკა-მექსიკის საზღვარზე 3000 კმ-ანი სიგრძის 5,7 მილიარდი დოლარის ღირებულების კედლის აშენებას აპირებს...

ფაქტია, სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე თითქმის ერთსა და იმავე დროს შექმნილი ლათინური ამერიკის სახელწიფოები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან თავისი ეკონომიკით და ხალხის ცხოვრების დონით მის ახლო მეზობელს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო რით არის ეს განპირობებული, ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ძნელია, და ზოგჯერ არასასიამოვნო განცდას ბადებს.

დღეს, შეიძლება თამამად ითქვას, ჩვენს ქვეყანაში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა: საქართველოში მშვიდი და სტაბილური მდგომარეობაა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის დღევანდელი მთავრობის სწორ საშინაო და საგარეო პოლიტიკას და, რა თქმა უნდა, აგრეთვე, დასავლეთის ქვეყნების ყოველმხრივ დახმარებას. ქვეყანა დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას, მჭიდროდ დაუკავშირდა აშშ-ს, ევროკავშირის ქვეყნებსა და ნატოს დემოკრატიულ სტრუქტურებს. საქართველო გახდა ევროპის ქვეყნების ასოცირებული წევრი, დაიმსახურა შენგენის ზონის ქვეყნების უვიზო რეჟიმის სტატუსი, მიღებული იქნა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, ქვეყანა გადავიდა საპარლამენტო მმართველობაზე, რომელიც მმართველობის ყველაზე პროგრესულ დემოკრატიულ ფორმად ითვლება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბოლო დროს ქვეყანაში გატარდა აუცილებელი რეფორმები, არ მომხდარა რაიმე პოლიტიკური ან სხვა ხასიათის სერიოზული ექსცესები და რყევები, რაც ცხადია, ყოველმხრივ ხელს უწყობს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, რისი გამოძახილიცაა ქვეყანაში უცხოელი ტურისტების უპრეცედენტო ზრდა. ამჟამად ქვეყნის ხელისუფლების მნიშვნელოვანი ამოცანაა მომავალშიც შეინარჩუნოს მშვიდი, სტაბილური მდგომარეობა, რაც თავის მხრივ ქვეყნის სიღარიბიდან გამოყვანისა და მისი შემდგომი განვითარების მთავარი საწინდარი იქნება.

**ბონდო ქობულია,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

## სამხედრო მოსამსახურეთა ხელფასები 100-დან 500 ლარამდე გაიზრდება

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას თქმით, საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში ჩართული ყველა დანაყოფის და სხვა რამდენიმე დანაყოფის სამხედრო მოსამსახურეები განახლებული სახელფასო უზრუნველყოფით ისარგებლებენ და მათი ხელფასი 100-დან 500 ლარამდე გაიზრდება.



**„მხოლოდ 2019 წელს მათი რაოდენობა იქნება 7000-ზე მეტი, ეს განპირობებულია იმით, რომ საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამაში ჩართული ყველა დანაყოფის სამხედრო მოსამსახურე მიიღებს განახლებულ სახელფასო უზრუნველყოფას, რომელიც 100 ლარიდან 500 ლარის ფარგლებში მერყეობს, წოდებებიდან გამომდინარე. თუმცა სხვა დანაყოფებიც მიიღებენ ახალ სახელფასო უზრუნველყოფას“,** — ლევან იზორიამ თავდაცვის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

იზორიამ დასძინა, რომ სახელფასო უზრუნველყოფა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია და აქვთ ამბიცია, რომ გაუმჯობესებული სახელფასო უზრუნველყოფით ისარგებლონ მთელმა თავდაცვითმა ძალებმა სრულად და ყველა სამხედრო მოსამსახურეს ჰქონდეს გაუმჯობესებული სახელფასო პირობები.

**„რაც შეეხება სახელფასო უზრუნველყოფას, ესეც ერთ-ერთი პრიორიტეტი გახლავთ... უფრო გაფართოვდება სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა, ვინც განახლებულ და გაუმჯობესებულ ხელფასებს მიიღებს 2019-2020 წლებში“,** — განაცხადა ლევან იზორიამ. თავდაცვის მინისტრის თქმით, სამინისტრო ასევე გეგმავს სამხედრო მოსამსახურეების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფას, რომელთა წინაშეც ეს ვალდებულება სახელმწიფოს კონტრაქტით აქვს აღებული.

## რუსეთში ხორბალი გაძვირდა — საქართველო ჯერჯერობით პურპროდუქტებზე ფასს ინარჩუნებს

**რუსეთში პური, შესაძლოა, 6-7%-ით გაძვირდეს. აღნიშნულ პროგნოზს სასურსათო პროდუქციის მწარმოებელთა და მომწოდებელთა ასოციაცია „რუსპროდსაიუზში“ აკეთებენ. პროგნოზი, თავის მხრივ, ქვეყანაში ფქვილის 30%-იან გაძვირებას უკავშირდება. რუსული მედიის ინფორმაციით, ხორბლის გაძვირება 2018 წელს ხორბლის მოსავლის შემცირებას უკავშირდება.**

როგორც ცნობილია, საქართველოში ხორბლის იმპორტი ძირითადად რუსეთიდან ხორციელდება.

ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციაში „ჯი-ეიჩ-ენს“ განუცხადეს, რომ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში ქვეყანაში შემოტანილი ხორბლის ფასი 15 დოლარამდე გაიზარდა და 1 ტონა 250 დოლარი ღირს. რაც შეეხება ფქვილის ფასს, ის შენარჩუნებულია და კვლავინდებურად 49-50 ლარის ფარგლებშია.

საქართველოში პურის მწარმოებლები კი განმარტავენ, რომ ფქვილის ბაზარზე სიმშვიდეა, ფასების მნიშვნელოვანი კორექტირება არ ხდება და ამ ფონზე, ქვეყანაში პურის ფასის ზრდა ამ დროისათვის დღის წესრიგში არ დგას. მწარმოებლები განმარტავენ, რომ ქვეყანაში პურის ფასის ზრდა, რომელიც რამდენიმე კვირის წინათ დაფიქსირდა, გამომდინარეობდა ბევრი ფაქტორიდან და დღეს ეს აქტუალური არ არის: ლარის კურსი მეტ-ნაკლებად სტაბილურობას ინარჩუნებს და მას შემდეგ არც გაზის ფასის ზრდა მომხდარა.

როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოსთვის ხორბლის ძირითად მომწოდებელ ქვეყანაში, ამაზე ზუსტი გათვლები რუსეთში არ აქვთ. ანალიტიკოსები რუსეთის ბაზარზე ხორბალსა და ფქვილზე ფასების კორექტირებას ზრდის მიმართულებით არ გამორიცხავენ.

საქართველოს ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციაში აცხადებენ, რომ ხორბლის უწყვეტი მომარაგებისთვის სპეციალური მექანიზმის შექმნაა აუცილებელი. ასოციაციის ინფორმაციითვე, ისინი ეკონომისკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ინტენსიურად მუშაობენ, რათა ჩამოყალიბდეს მდგრადი და გამართული მექანიზმი იმისათვის, რომ ქვეყნის ხორბლით უზრუნველყოფა დამოკიდებული არ იყოს შემთხვევით ფაქტორებზე. როგორც ცნობილია, ბოლო პერიოდში ქვეყნის ხორბლით მომარაგება მხოლოდ საავტომობილო ტრანსპორტით ხორციელდებოდა და უამინდობის გამო ლარსის გამშვები პუნქტის ჩაკეტვამ, ქვეყანას ხორბლით მომარაგების კუთხით გარკვეული ზიანი მიაყენა.

ფორსმაჟორულმა სიტუაციამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ხორბლის იმპორტი ქვეყანაში დივერსიფიცირებული უნდა იყოს და მისი ტრანსპორტირება უნდა მოხდეს როგორც სარკინიგზო, საზღვაო ასევე საავტომობილო ტრანსპორტით.





# სირცხვილი შენ, PENSIO

## ლათინური ტერმინი PENSIO (პენსია) სახელმწიფოს მხრიდან თავისი ხანდაზმული ან უძლური მოქალაქისადმი დამსახურების მიხედვით რეგულარულ მატერიალურ (ფულად) ანაზღაურებას ნიშნავს

**სახელმწიფოსა თუ კერძო პირების, კომპანიების მხრიდან პენსიების, კომპენსაციების, სტიპენდიების, პრემიების, ნაირ-ნაირი ჯილდოებისა და დახმარებების გაცემას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს. იგი საუკუნეების განმავლობაში იხვეწებოდა და თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ჩამოყალიბდა იმ ინსტიტუტად, რომელიც უძლურების ან დათქმული ასაკის შესრულების შემთხვევაში, მოქალაქის ღირსეული ცხოვრების გარანტიაა.**

ასეა თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში — მე, ამერიკელმა (კანადელმა, ინგლისელმა,ფრანგმა, გერმანელმა...) მუშამ, ფერმერმა, მასწავლებელმა, ჯარისკაცმა, ჩინოვნიკმა ვიცი, რომ მაქვს გარანტირებული სიბერე — შემიძლია ხვავიანად ვსვა და ვჭამო, მეგობარსაც გავუმასპინძლდე, ჩავიცვა და დავიხურო, ნორმალურ ბინაში ვიცხოვრო, მეუღლესთან (მეგობართან) ერთად მსოფლიოში ვიმოგზაურო; თუ დამჭირდება, ბანკიდან შეღავათიანი (წელიწადში 1 ან 2-პროცენტიანი) კრედიტით ვისარგებლო... ამიტომ მე სიბერისა და ინვალიდობის არ მეშინია. არც მარტოობისა.

ისიც ვიცი, რომ პენსია არ არის სახელმწიფოს ან ვინმე კეთილშობილი კერძო პირის კეთილი ნების შედეგი — იგი ჩემი შრომით და მოღვაწეობით დავიმსახურე. სახელმწიფო, ან კერძო საპენსიო სადაზღვევო კომპანია, ან ორივე ერთად ჩემს მიერ თავის დროზე გამომუშავებული თანხების დაგროვებაში დამეხმარა, მრავალი წლის განმავლობაში თავადაც ისარგებლა და მეც ფინანსურად გარანტირებული სიბერე შემიქმნა.

კოსმონავტი, ომის ვეტერანი, მეცნიერი ან კონგრესმენი, შესაძლოა, ჩემზე მეტ პენსიას იღებდეს, მაგრამ არ მშურს და არც რაიმე პრეტენზია გამაჩნია — მას ჰქონდა ჩემზე მეტი ხელფასი და დამსახურება ქვეყნის წინაშე.

სამართლიანობისთვის იმასაც ვიტყვი, რომ პენსიების პრობლემა საკმაოდ კარგად იყო მოწესრიგებული საბჭოთა კავშირში — მართალია, უცხოეთში სამოგზაუროდ არ გეყოფოდა (ან უცხოეთში ვინ გაგიშვებდა!), მაგრამ ნორმალური კვებისა და გადასახადებისთვის სავსებით საკმარისი იყო. საბჭოთა პენსიონერის შემოსავალი რაოდენობრივად ძალიან შორს იდგა საშუალო ევროპელის საპენსიო შემოსავლისაგან, მაგრამ პრინციპი არ განსხვავდებოდა — პენსია განისაზღვრებოდა ხელფასის და დამსახურების მიხედვით!

დღევანდელ საქართველოში პენსიებისა და სტიპენდია-კომპენსაცია-დანამატების პრობლემებს, ძირითადად, ორი კანონი აწესრიგებს: „საქართველოს კანონი პენსიის შესახებ“ და „საქართველოს კანონი სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“.

ორივე ამ კანონში მითითებულია (მუხლი 3), რომ **„კანონის ძირითადი პრინციპებია: სამართლიანობა, კანონის წინაშე თანასწორობა, მუდმივობა, საყოველთაოობა, თაობათა შორის სოლიდარობა...“**

სანამ სამართლიანობასა და თანასწორობაზე მოგახსენებდეთ, ბარემ გეტყვით, რომ აქვე (მუხლი 4) განმარტებულია ტერმინი **„შრომისუუნარო — პირი, რომელსაც დადგენილი აქვს მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი ან არის 65 წლის ან მეტი ასაკის“**.

როგორც ვხედავთ, აქ გაიგივებულია „მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების“ მქონე და „65 წლის ან მეტი ასაკის“ ადამიანი, რაც შინაარსობრივად, რადიკალურად განსხვავებული ცნებებია: 65 წლის ადამიანების უმრავლესობა, ჩვეულებრივ, შრომისუნარიანი და ხშირად, განუსაზღვრელი გონებრივი შესაძლებლობებისაა. მეტიც, მე თუ მკითხავთ, მაღალ არჩევით ან ადმინისტრაციულ თანამდებობებზე სასურველია არა 30-35 წლის ახალგაზრდების, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებით დამძიმებული პირების არჩევა და დანიშვნა. მით უფრო, როცა კარგად ვიცით, ბიბლიური „ბიჭბუჭების“ მმართველობამ რაც მოგვიტანა.

ვრცელი ციტატისთვის ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ კანონის ეს ნაწილი საქართველოს მოქალაქეებისთვის ალბათ ძალზე საინტერესოა: **„მუხლი 5. კომპენსაციის — სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის — დანიშვნის საფუძვლები.**

**2. ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის - სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის — მიღების უფლება აქვთ: საქართველოს პარლამენტის წევრებს; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს; საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს; გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეს; სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს; „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს; სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების — საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული ან მიღებული დაზიანების შედეგად გარდაცვლილი მეხანძრე-მაშველის-/მაშველის ოჯახის წევრებს.“**

მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ საქართველოს სინამდვილეში აქ ნახსენები კომპენსაციები გაიცემა არა ამ ადამიანების მიერ ხანგრძლივი შრომის შედეგად დაგროვილი თანხებიდან, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტიდან — ჩვენი, საქართველოს ყველა მოქალაქის მიერ ერთობლივად შექმნილი დოვლათიდან. ამ სინამდვილიდან გამომდინარე, უბრალოდ, გაუგებარია, რატომ უნდა ჰქონდეს ეს პრივილეგიები საქართველოს პარლამენტის წევრებს, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს; გენერალურ აუდიტორსა და მის მოადგილეს?!..

პენსიების შესახებ კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის პენსია თვეში 560 ლარს შეადგენს; არსებული ხელფასიდან გამოიანგარიშება და დაახლოებით ამდენივეა მინისტრების, მათი მოადგილეების, სხვა მაღალი თანამდებობის პირების საპენსიო ანაზღაურებაც.

არ მენანება, ღმერთმა შეარგოთ. არც თვეში 560 ლარი და არც ამაზე ხუთჯერ მეტი ღირსეულად ცხოვრებისთვის საკმარისი ნამდვილად არ არის, მაგრამ რა დააშავა იმ 600 000-ზე მეტმა ადამიანმა, ვინც ყოველთვიურად სასოებით ელის მარჩენალ პენსიას -— 200 ლარს! რატომ იხარშებიან ერთ ქვაბში ის, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქვეყნის სამსახურს შეალია და ის, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება უსაქმურობასა და ქურდბაცაცობაში გაატარა?! რატომ აქვს ღვაწლმოსილ, მშრომელ, პატიოსან კაცს ვინმე ავანტიურისტ, მკვლელების პარტიის წევრ პარლამენტარზე თითქმის 300 პროცენტით ნაკლები პენსია?!

სამწუხაროდ, ეს არ არის რიტორიკული კითხვები — ეს ის კითხვებია, რაზეც პასუხი უნდა გაეცეს და რაც შეიძლება მალე, ვიდრე ის 600 000-ზე მეტი ადამიანი თავისი უფლებების დასაცავად ქუჩაში გამოსულა.

არც საქართველოში მოქმედ ასეულობით NGO-ს, არც ფინანსთა სამინისტროს, არც ეროვნულ ბანკს, არც მინისტრთა კაბინეტს არ აინტერესებს (ან თქმას ვერ ბედავს!), რა ცოდვა-ბრალი ტრიალებს „ლიბერთი ბანკში“ პენსიონერთა სესხებთან დაკავშირებით (სწორედ ის ემსახურება პენსიონერებს): ნებისმიერი ოდენობის სესხი პენსიონერზე გაიცემა წელიწადში 50 პროცენტად! ანუ თუ მე 1000 ლარს ვისესხებ, ერთი წლის განმავლობაში 1500 ლარი უნდა ჩავასესხო, რომელსაც დაემატება კიდევ 60 ლარი და დაახლოებით 30 ლარამდე ბანკის მომსახურების თანხა! თანაც, გადახდის ვადად განისაზღვრება არა 12, არამედ 24-36 თვე, რაც გადასახდელ თანხას კიდევ 25-35 პროცენტით გაზრდის!

ეს გახლავთ ყოვლად ჩვეულებრივი ბანდიტიზმი, რასაც უკვე მრავალი წელია, ფილოსოფიური დუმილით შესცქერის ხელისუფლება.

სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ პენსიების შესახებ კანონში მოკეკლუცე მუხლი სამართლიანობისა და თანასწორობის შესახებ მეტისმეტად შეურაცხმყოფელია.

დაბოლოს, ერთი მოკრძალებული თხოვნა — იქნებ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებიდან ვინმემ აუხსნას ომის ვეტერანებს, ვინ და რა მონაცემებზე დაყრდნობით გამოიანგარიშა 22 ლარი, ომის ვეტერანების ყოველთვიური კომპენსაცია.



**თეიმურაზ ჟორიძე**

---

## „საქართველო და მსოფლიო 2019 წელს“...



**ბრიტანული ჟურნალის THE ECONOMIST-ის წლიური გამოცემის „მსოფლიო 2019“- ის ეგიდით 29-30 იანვარს თბილისში, „ტექნოპარკში“ ეკონომიკური კონფერენცია „საქართველო და მსოფლიო 2019 წელს“ გაიმართება. კონფერენციას საქართველოს მთავრობის, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნესისა და აკადემიური სფეროს წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მამუკა ბახტაძე დაესწრება. კონფერენციაზე საპატიო სტუმრად მოწვეულია ევროკომისიის ტრანსპორტისა და მობილობის გენერალური დირექტორი ჰენრიკ ჰოლოლეი.**

**კონფერენციის მიზანია საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესის ანალიზი, ახალი გამოწვევებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივის გლობალურ კონტექსტში განხილვა სამუშაო გარემოში. ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია მთავრობის მიერ მიღწეული შედეგებისა და მომავალში განსახორციელებელი რეფორმების საჯარო განხილვები. კონფერენციას ტექნოპარკში, 29 იანვარს, 09.00 საათზე საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე და ჰენრიკ ჰოლოლეი გახსნიან.**

## ე.წ. საზღვარი ენგურზე ერთი თვეა, ჩაკეტილია

**აფხაზეთში საოკუპაციო ხაზის მიღმა დარჩენილი ადამიანები დახმარებას ითხოვენ. მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა, რადგან მათთვის შემოსავლის ერთადერთი წყარო ენგურს აქეთ ასაღები პენსიაა.**

**ე.წ. საზღვარი ენგურზე ბოლო ერთი თვეა, გაურკვეველი მიზეზებით ჩაკეტილია და გალში მცხოვრებ ქართველებს ზუგდიდში აღარ უშვებენ. ადგილობრივები ამბობენ, რომ საკვები პროდუქტები არ არის და ასევე, ისინი პენსიასაც ვერ იღებენ. რამდენიმე მოქალაქე ენგურის ხიდზე მხოლოდ ავადმყოფობის გამო გაუშვეს.**

# რკინის ფარდიდან აბრეშუმის გზამდე

## ედუარდ შევარდნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში



*25 იანვარი ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღეა. ეს თარიღი ყოველწლიურად სხვადასხვაგვარად აღინიშნება. წლეულს კი გამორჩეული იყო იმით, რომ პირველად აღინიშნა ისეთ მსოფლიოში უთუოდ გამორჩეულ, დიდებულ და საუკუნეთაგამძლე შენობაში, როგორიც ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმია, რომელიც საქართველოს მარადიულ ძღვნად აავო თვითონ ედუარდ შევარდნაძის ოჯახმა, კერძოდ კი, მანანა შევარდნაძემ და გია ჯოხთაბერიძემ. ალბათ, ამიტომაც ხალხი ამ გრძელსახელიან მუზეუმს, მოკლედ ჯოხთაბერიძის გალერეას ეძახის.*

*მუზეუმში ხალხის ტევა არ იყო. თუ იმ დიდი ეპოქის ამსახველი ფოტოსურათების მიხედვით განვსაზღვრავთ, საღამოს მთავარი და უშუალო მონაწილე იყო თვითონ უთუოდ ყველასგან გამორჩეული, ერთ-ერთი ყველაზე ღიმილიანი და მოსწრებულსიტყვიანი მეოცესაუკუნელი პოლიტიკური მოღვაწე ერდუარდ შევარდნაძე. დიახ მრავლისმომცველი მოსწრებულსიტყვიანი და ღიმილიანი, რომლისთვისაც მოსწრებული სიტყვა და ღიმილი უმთავრესი, შედეგიანი პოლიტიკური იარაღი იყო.*

*საღამო გახსნა და სტუმრებს მიესალმა იუბილარი პაპის შვილიშვილი, ნიჭიერების მხრივ, როგორც ჩანს, პაპის წყალდასხმული სოფო შევარდნაძე (პაატას ქალიშვილი).*

*პირველმა სიტყვა წარმოთქვა იუბილარის მრავალწლიანმა თანამებრძოლმა, აკადემიკოსმა ვაჟა ლორთქიფანიძემ.*

*ედუარდ შევარდნაძის ადამიანური და პოლიტიკური პორტრეტი დახატა წლების მანძილზე ამ დიდღვაწლიანი ადამიანის ცხოვრების თავისებურმა მემატიანემ, თავადაც გამორჩეულმა ქართველმა გელა ჩარკვიანმა (სტალინის ეპოქელმა).*

*„საქართველოს რესპუბლიკამ" გადაწყვიტა ფართო მკითხველ საზოგადოებას გააცნოს გელა ჩარკვიანის ეს მრავალმხრივ საყურადღებო წერილი-გამოსვლა, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.*

**გურამ წიკლაური**

# ღმერთი არ გაწირავს მამაცებს!..



ჩემთვის დიდი პატივია ამ დიდებული გამოფენის გახსნაზე დასწრება და მის აღსანიშნავად შეკრებილი საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლა. ვფიქრობ, ეს პატივი იმით დავიმსახურე, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი მონაკვეთის წლებში, მაშინ, როცა საფუძველი ეყრებოდა ახალ, დამოუკიდებელ საქართველოს, ედუარდ შევარდნაძის გვერდით ვიდექი. თერთმეტი წლის მანძილზე, 1992-დან 2003-მდე მე ვიყავი სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველი და მისი აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის უფროსი, ვესწრებოდი მის ყველა შეხვედრას როგორც თბილისში, ისე უცხო ქვეყნების დედაქალაქებში.

დღევანდელი გადასახედიდან მივიჩნევ, რომ, მიუხედავად იმ ეპოქაში წარმოქმნილი მრავალი დაუძლეველი პრობლემის, გაუსაძლისი სიდუხჭირის და, არცთუ იშვიათად, მოვლენათა ტრაგიზმით გამოწვეული სტრესებისა, სწორედ ეს თერთმეტი წელია ჩემი ცხოვრების ყველაზე საგულისყურო პერიოდი.

ედუარდ შევარდნაძესთან ყოველდღიურმა კავშირმა მომცა საშუალება გავცნობოდი მას, ერთი მხრივ, როგორც პოლიტიკოსსა და სახელმწიფო მოღვაწეს და, მეორე მხრივ, როგორც პიროვნებას, ადამიანს. გაცნობის პირველი დღიდან ვიცოდი, რომ გაივლიდა წლები და მე დავწერდი წიგნს, რომლის მთავარი გმირი ედუარდ შევარდნაძე იქნებოდა. ამის გამო გადავწყვიტე, ყოველი დღის ბოლოს ჩამეწერა ყველა დეტალი, იმისათვის, რომ არ გამომრჩენოდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნიუანსიც კი.

700-გვერდიანი წიგნი 2016 წელს გამოიცა. სამწუხაროდ, ამ დროისათვის მთავარი გმირი ცოცხალი აღარ იყო და მე ვეღარასდროს გავიგებ, მოიწონებდა თუ არა ედუარდ შევარდნაძე ჩემ მიერ შექმნილ თავის პორტრეტს.

ნება მიბოძეთ, გაგიზიაროთ ამ პორტრეტის რამდენიმე წახნაგი. შევარდნაძე რთული პიროვნება იყო. მასში თანაარსებობდა თითქოსდა შეუთავსებელი რამდენიმე თვისება. მკაცრი, მომთხოვნი და ზოგჯერ სასტიკიც კი, იგი იმავდროულად ავლენდა სულის გასაოცარ სინაზეს, იჩენდა მისი მდგომარეობის კაცისათვის უჩვეულო ყურადღებას გვერდით მყოფი ადამიანების სულიერი მდგომარეობის მიმართ. ყოველივე ეს მე ჩემს თავზე განვიცადე.

დასაწყისი ადვილი არ იყო. პირველი რამდენიმე კვირა მასთან კონტაქტი მძაბავდა და უსურვილოდ შევდიოდი მის კაბინეტში. ამის ერთ-ერთი მიზეზი შევარდნაძის ცნობილი მოსმენის მანერა იყო. კომუნიკაციის პროცესში მთლიანად, ტოტალურად ჩართული, ის თვალებში გიყურებდა, მაგრამ არც ჟესტით, არც მიმიკით, არც სიტყვით და არც რაიმე შორისდებულით არ გაგრძნობინებდა, მოსწონს თუ არა ის, რასაც ეუბნები. საკმაო დრო დამჭირდა იმისათვის, რომ მასთან საუბრისას თავი თავისუფლად მეგრძნო. მას შემდეგ, რაც ეს შევძელი, ჩემთვის მოულოდნელად აღმოვაჩინე მისი საპირისპირო მხარე – მაღალი მგრძნობიარობა და გულწრფელი გულისყური ჩემი ემოციების მიმართ. თუ რომელიმე ვითარებაში ჯეროვან ყურადღებას ვერ მომაქცევდა, დამაკლებდა, ასე ვთქვათ, სითბოს, რამდენიმე კალორიას, იმავე დღეს ან მეორე დილით დამირეკავდა, გამეხუმრებოდა ან ჩემს სატელევიზიო გამოსვლას შეაქებდა. თუ რომელიმე ჩემს კოლეგას დასავლეთის დიდ ქვეყანაში ელჩად დანიშნავდა, თავისთან დამიბარებდა და მეტყოდა: „შენ ძალიან კარგი ელჩი იქნებოდი. ამისათვის ყველა მონაცემი გაქვს, მაგრამ, რა ვქნა? აქ მჭირდები." წარმოიდგინეთ, მაშინაც ასე მოიქცა, როცა ირაკლი მენაღარიშვილი მინისტრად დანიშნა. ჯერ აქო ირაკლი და ბოლოს კვლავ მითხრა, შენც ძალიან კარგი მინისტრი იქნებოდი, მაგრამ, რა ვქნა, აქ მჭირდებიო.

ედუარდ შევარდნაძის ზოგჯერ ფატალიზმს მიახლოებული სიმამაცისა და საქვეყნოდ ცნობილი იუმორის შესახებ შეიძლება სქელი ფოლიანტის გამოცემა. მასზე განხორციელებული ერთ-ერთი ტერორისტული აქტის შემდეგ ამერიკულმა „თაიმმა" წერილი ასე დაასათაურა:"ღმერთი არ გაწირავს მამაცებს." თვითონ შევარდნაძე კი ასე ხუმრობდა, ეხმაურებოდა რა რუსულ მედიაში გავრცელებულ ჭორებს: „მეგობრებმა რომ არ დამივიწყონ მსოფლიოში, ზოგჯერ თავადვე ვაწყობ ტერორისტულ აქტებს საკუთარი თავის წინააღმდეგ." ხოლო როცა გერმანელებმა შეგვატყობინეს, რომ ახალ ჯავშნიან მერსედესს გვიგზავნიან, წერილს ასეთი რეზოლუცია დაადო: „ჩარკვიანს. ნუ ვეტყვით უარს."

ჩემს ერთ-ერთ წიგნში „ნაგერალა-2"-ში ასეთი პასაჟი მაქვს: „შევარდნაძეში მომწონდა ის, რომ მას არ ახასიათებდა ტრადიციული ბოლმანარევი კონსერვატიზმი. ბექგრაუნდის მიუხედავად, შეხედულებებით ის ბევრზე მეტად ევროპელი იყო." ალბათ, სწორედ ეს იყო მისი მყისიერი წარმატების მიზეზი საერთაშორისო სარბიელზე. დასავლელმა პოლიტიკოსებმა დაინახეს საბჭოთა ბიუროკრატებისაგან სრულიად განსხვავებული ფიგურა – მართლის მთქმელი სიტყვის კაცი, განსხვავებული აზრის პატივისმცემელი, ზომიერად პრაგმატული, არაიდეოლოგიზებული, ღიმილიანი ადამიანური ადამიანი.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ დეიდეოლოგიზაცია ედუარდ შევარდნაძის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური იარაღი იყო. ჯერ კიდევ 1970-იან წლებში, როგორც ცეკას პირველმა მდივანმა, მან ის საქართველოში გამოიყენა, როცა გაათავისუფლა ჰუმანიტარული სფერო – ხელოვნება, ლიტერატურა და, წარმოიდგინეთ, საბჭოთა იდეოლოგიის ციტადელი, მარქსისტული ფილოსოფიაც კი, განვითარების ხელისშემშლელი დოგმატებისაგან. ამ პოლიტიკამ საოცარი შედეგი გამოიღო – სწორედ 70-იანებში შეიქმნა ქართული კინოს, თეატრისა და ლიტერატურის არაერთი განსაკუთრებული სიძლიერის სამახსოვრო ნაწარმოები. უკვე მერე, როცა ედუარდ შევარდნაძემ ეს იარაღი საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანა და მოახდინა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის დეიდეოლოგიზაცია, შედეგმა მთელი მსოფლიო გააოცა – დამთავრდა მეოცე საუკუნის ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე საშიში დაპირისპირება, ცივი ომი.

ედუარდ შევარდნაძის დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის დივიდენდები საქართველომ მისი 1992 წელს ჩამოსვლისას მოიმკო. სამხედრო გადატრიალების კვალდაკვალ წარმოშობილ შემაშინებლად არამყარ პოლიტიკურ ვითარებაში შევარდნაძე იყო ერთადერთი, უალტერნატივო ფიგურა, ვისაც შეეძლო თავიდან აეცილებინა საქართველოში ხანგრძლივი სამოქალაქო ომი, ქვეყნის „ლიბანიზაცია," რომელიც, შესაძლოა, დღემდე გაგრძელებულიყო. ამისათვის ყველა პირობა არსებობდა – დაპირისპირებული შეიარაღებული დაჯგუფებები, ეგრეთ წოდებული საძმოები, განსხვავებული კონფესიები, ირიდენტული ეთნიკური ჯგუფები. საერთაშორისო გაერთიანებამ ეს არ დაუშვა – ჯერ კიდევ არალეგიტიმურ მმართველს, შევარდნაძეს, ვიზიტად ეწვივნენ გერმანიის და შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრები და მეზობელი თურქეთის პრემიერი. საქართველო გაწევრდა გაეროში და თანდათან ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციაში.

დღეს ჩვენ გვეამაყება, რომ საქართველო რეგიონში ყველაზე თავისუფალი საზოგადოების მქონე სახელმწიფოა. დღევანდელ თავისუფლებას საძირკველი მაშინ, იმ დუხჭირ და ხშირად ჩაბნელებულ 90-იანებში ეყრებოდა – პარლამენტარიზმის დამკვიდრებით, თავისუფალი მედიისა და დასავლური ორიენტაციის წახალისებით. მახსოვს ერთხელ ახლობელი შეეკითხა შევარდნაძეს, თქვენი რომელიმე კოლეგა-პრეზიდენტი თუ დაუშვებს „დარდუბალასო." პასუხი მოკლე იყო: „ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი მიღწევა." იყო სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მიღწევები. საკმარისია ითქვას, რომ 1996-97 წლებში საქართველო მიიჩნეოდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეტალონად. დასავლური ორიენტაციის შესახებ საუბრისას კი, ნუ დავივიწყებთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე გაბედული ნაბიჯი ამ მიმართულებით სწორედ შევარდნაძემ გადადგა, აუწყა რა 2002 წლის ნატოს პრაღის სამიტის მონაწილეებს, რომ საქართველოს სურს, გახდეს ნატოს წევრი. და კიდევ იყო აბრეშუმის გზა და მილსადენები. უიმათოდ დღეს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობა სათუო იქნებოდა.



ისტორიას ბევრად უფრო გამჭრიახი თვალი აქვს, ვიდრე ჩვენ, გვერდით მდგომთ. გავა წლები და ის არაერთ ახალ, დღეს ჩვენთვის შეუმჩნეველ სიკეთეს წარმოაჩენს, რომელიც ედუარდ შევარდნაძის წინამძღოლობამ ჩვენს სამშობლოს, საქართველოს მოუტანა.

**გელა ჩარკვიანი**

# „ყველაფერი იციან და ყველაფერი გაეგებათ მხოლოდ სულელებს და თაღლითებს“



## ასე ამბობდა ანტონ ჩეხოვი

## ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

## ოდეს სული გვტკივა

ახალშერთულ ცოლს საბოლოოდ გავეყარე, უფრო სწორად, ის გამეყარა, მაგრამ რევოლვერი ჯერ არ მიყიდია და არც დღიურსა ვწერ. ამქვეყნად ყოველივე უსწოროა, დაუდგრომელია, მიახლოებითი და შედარებითია.

* * *

მუშაობა არ გამომდის. არ მემუშავება. შეყვარება მინდა, ან ცოლის მოყვანა, ანდა ჰაერბურთით გაფრენა.

* * *

მხოლოდ განსაცდელის ჟამს შეუძლიათ ადამიანებს იმის მიხვედრა, თუ რა საკმაოდ ძნელია საკუთარი გრძნობებისა და აზრების ბატონ-პატრონად ყოფნა.

* * *

ცოცხლობდე იმისთვის, რათა მოკვდე, სულაც სასეირო არ არის, მაგრამ ცოცხლობდე და იცოდე, რომ ნაადრევად მოკვდები, სულ მთლად სისულელეა.

* * *

ადამიანები მიჩვეულნი ვართ კარგი ამინდის, მოსავლიანობის, სასიამოვნო გამიჯნურების იმედებით ცხოვრებას, ანდა სულაც გამდიდრების, ან პოლიცმაისტერად დაწინაურების იმედებით, ჭკუაში ჩავარდნის იმედს კი კაციშვილს ვერ ვატყობ. სუყველას გვგონია, რომ ახალი მეფის დროს უკეთესობა იქნება, ხოლო ორასი წლის შემდეგ კიდევ უფრო მეტ უკეთესობას მოესწრება ადამიანი და არავინ იმაზე არ ზრუნავს, რომ ეს უკეთესობა ხვალ დადგეს. ერთი სიტყვით, ცხოვრება ყოველდღიურად სულ უფრო რთულდება და საითკენღაც მოძრაობს თავისით. ადამიანებს შესამჩნევად ურიკინებთ და სულ მეტი და მეტი განზე რჩება ცხოვრებისგან.

* * *

უკეთუ ოპტიმისტად გახდომა გწადს და ცხოვრების გაგება გინდა, იმას ნუ კი დაუჯერებ, რასაც ლაპარაკობენ და წერენ, თავად დაჰკვლიე და ჩაუკვირდი.

* * *

საქმე არც პესიმიზმის ამბავია და არც ოპტიმიზმის, საქმე ის არის, რომ ასი კაციდან ოთხმოცდაცხრამეტს ჭკუა არა აქვს.

* * *

იყავი გონებრივად ნათელი, ზნეობრივად წმინდა და ფიზიკურად სალუქი.

* * *

თავხელმარტოდ მცხოვრებ ადამიანებს ყოველთვის უმძიმებს სულს ისეთი რამ, რასაც ხალისით მოუყვებოდნენ სხვას.

* * *

ვინც ადგილის ცვლაში ეძებს ხსნას, როგორც რომ მძლევარი ფრინველი, ის ვერცრას ვერ იპოვის, რადგან დედამიწა იმისთვის ყველგან ერთნაირია.

* * *

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჩვენს ცხოვრებაში არცრა ისეთი არა არის რა, რაც ადრე თუ გვიან რომ არ მთავრდებოდეს.

* * *

ჩვეულებრივი ადამიანი კარგსა თუ ავს გარედან ელოდება, მოაზროვნე კი თავისი თავისაგან.

* * *

როს ნამდვილი ცხოვრება არ არის, მაშინ მირაჟებით ცხოვრობენ.

* * *

ტკივილს ყვირილითა და ცრემლებით ვეპასუხები, ფლიდობას – გულისწყრომით, სისაძაგლეს – ზიზღით. ჩემი აზრით, კაცმა რომ თქვას, ცხოვრებაც ამას ჰქვია.

* * *

რა ბედნიერია, ვინც ვერ ამჩნევს, ზაფხულია ახლა თუ ზამთარი.

* * *

მუსლიმანი სულის ცხონებისთვის ჭასა თხრის. კარგი იქნება, თუ სუყოველი ჩვენგანი ჩვენ შემდეგ დავტოვებდით სკოლას, ჭას ანდა მსგავს რასმე, რათა ცხოვრებამ ისე არ ჩაიაროს, რომ მარადისობაში უკვალოდ არ გაქრეს.

* * *

იცოდეთ, სუყოველი კაცის აზრები... უწესრიგოდ მიმობნეულია, ერთი ხაზის გაყოლებით სადღაც მიწისკენ მიდიან, წყვდიადს გაივლიან, ვერცრას ვერ გაანათებენ, ვერც ღამეს გააციაგებენ და სადღაც შორს სიზერის იქით იკარგებიან.

* * *

რაც უფრო მაღლა დგას ადამიანი გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მხრივ, მით უფრო თავისუფალია, მით უფრო მეტ სიამოვნებას ჰგვრის ცხოვრება.

* * *

ნეტარია, ვისაც არა სწამს და არც ადრე ესავდა.

*ჩეხოვი რუსეთის მწერალია. თვალს ჰკიდებდა რა რუსეთის ტყეებში ქარაშოტისგან ნალეწ ხეჭცეულთ და ათასგვარ ხიმანკლობას, მთელი სულითა და გულით განიცდიდა სამშობლო მიწა-წყლის ავადობას. ხედავდა, აანალიზებდა, ლანძღავდა, აფრთხილებდა, მაგრამ არასოდეს ფიქრადაც არ მოსვლია თავისი ქვეყნის სამუდამოდ მიტოვება. და თავისმა ქვეყანამაც თავის წიაღში მიიბარა ჭლექისგან ფილტვებდაჭმული გერმანული ბადენვაილერიდან გადმოსვენებული.*

*შეძრწუნებული მაქსიმ გორკი გულისტკივილით წერდა: „ეს საოცარი ადამიანი, ეს ჩინებული შემოქმედი მთელი თავისი ცხოვრება ებრძოდა უხამსობას, რომელსაც ყველგან ძირიანად თხრიდა, სადაც თვალს მოატანდა, მთვარის შუქის მსგავსი სამდურავიანი შუქით ხილულსა ხდიდა ყოველივე უგვანისა და უმსგავსის დამპალ ლაქებს... და აი, ეს დიდებული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ეჩოთირებოდა და ევრგინებოდა თუ რამ უხამსი და უშვერი იყო ქვეყანაზე, იმ ვაგონით ჩამოასვენეს, რომლის კარებსაც დიდი ასოებით ეწერა: „ნედლი ხამანწკების გადასაზიდად“. დასაფლავებით კი მავანი კაზაკის ქვრივის ოლგა კუკარეტკინას საფლავის გვერდით დაკრძალეს. ეს წვრილმანია, მეგობარო, მაგრამ როცა ვიგონებ იმ ვაგონს და კუკარეტკინას, გული მეკუმშება და მზად ვარ, ვიღრიალო, ვიბღავლო, მუშტი-კრივი გავაჩაღო სიბრაზისგან და აღშფოთებისგან. იმისთვის სულერთია, გინდაც ჭუჭყიანი თეთრეულის კალათით ჩამოეტანათ უსულო სხეული, მაგრამ ჩვენთვის, რუსი საზოგადოებისთვის, ვერ მიპატიებია ვაგონი „ხამანწკებისთვის“. ამ ვაგონშია სწორედ რუსული ცხოვრების ის უხამსობა და უკულტურობა, რაც მუდამ აგრერიგად აღაშფოთებდა განსვენებულს“.*

*გორკი იმით იყო აღშფოთებული, რომ „მცირე ასაბიის ნაწილი, მწერლის შესახვედრად სადგურში შეკრებილი, მანჯურიიდან ჩამოსვენებული გენერლის კუბოს გაჰყვა და სუყველა გაკვირვებული იყო, რომ ჩეხოვს სამხედრო მუსიკის ორკესტრით მარხავდნენ. როცა შეცდომა გაირკვა, ზოგიერთმა მხიარული ბუნებისამ, სიცილ-ხითხითი და ღრეჭა დაიწყო. ჩეხოვის კუბოს ასამდე კაცი მისდევდა, მეტი არ იქნებოდა. ძალიან მეუცნაურა ორი ვექილის საქციელი, ორივეს ახალი ფეხსაცმელი ეცვა და ჭრელი ჰალსტუხები გაესკვნა – სასიძოებს ჰგავდნენ. მე უკან მივდევდი და მესმოდა, რომ ერთ-ერთი ვ. მაკლაკოვი, ძაღლების სიჭკვიანეზე ლაპარაკობდა, მეორე, უცნობი, თავისი აგარაკის ქებაში იყო, იქ რომ პეიზაჟი იშლება, იმისთანა ტყუილიაო, ხოლო რომელიღაც ბანოვანი, სოსანი კაბა რომ ეცვა და მაქმანის ქოლგა ეჭირა, მავან ბერიკაცს არწმუნებდა:*

*– ო, რა საკვირველი ვინმე იყო, რა ენამახვილი...*

*სხვათა შორის, გამცივებელი ვაგონები იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო...*

*და მაინც იყვნენ გულშემატკივარი ახალგაზრდები, რომლებიც ხელებჩაჭიდებული სამგლოვიარო კორტეჟს იცავდნენ უქნარა მოყიალეთაგან, სულ მუჭლუგუნის კვრით რომ მიიწევდნენ მწერლის კუბოსკენ. ხალხი უკვე კარგა ბლომად იყო.*

*ნოვოდევიჩის მონასტრის სასაფლაოზე კი, ანტონის საფლავის მეორე მხარეს, მამამისის საფლავი იყო.*



## რუსულ ავ-კარგზე

*რუსეთი უზარმაზარი ვაკეა,*
*რომელსაც მოდებულია ჩაუქი კაცი.*

* * *

რუს ადამიანს უყვარს გახსენება, მაგრამ არ უყვარს ცხოვრება.

* * *

რუს ადამიანს უაღრესად ახასიათებს აზრების ამაღლებულობა, მაგრამ მითხარით ერთი, აგრერიგად დაბლა რატომ ეშვება?

* * *

თავმოყვარეობა და დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე ჩვენ, რუსებს, ევროპული გვაქვს, განვითარება და საქციელი კი – აზიური.

* * *

მთელი უბედურება ის არის, რომ ყველაზე უბრალო საკითხების გადაწყვეტას ვირეშმაკურად ვცდილობთ, ამიტომაც უჩვეულოდ ვართულებთ იმ საკითხებს.

* * *

დიოგენე არც კაბინეტს საჭიროებდა და არც თბილ საცხოვრებელს; იქ ისედაც ცხელა. იწექი შენთვის კასრში და მიირთვი ფორთოხალი და ზეთისხილი, არადა, რუსეთში რომ ეცხოვრა, მაშინ არა მარტო დეკემბერში, არამედ მაისშიც ოთახში შეყვანას მოითხოვდა.

* * *

თუ სადმეა ახირებული და ტლანქი ქვეყანა, ეს ჩვენი რუსეთია.

* * *

უცნაური არსებაა რუსი ადამიანი! მასში, როგორც ცხავში, არაფერი არ ჩერდება. სიყმაწვილეში ის ხარბად ივსებს სულს იმ ყველაფრით, რაც რამ ხელში მოხვდება, ოცდაათი წლის შემდეგ კი მასში როგორიღაც უვარგისი ხარახურა რჩება. რათა კარგად იცხოვრო, ადამიანურად, რუდუნებაა საჭირო! რუდუნება სიყვარულით, რწმენით. ჩვენში კი ეს არ შეუძლიათ. ხუროთმოძღვარი, რომელიც ორ-სამ რიგიან სახლს ააგებს, მერე უკვე ბანქოს ჩაუჯდება, თამაშობს მთელი ცხოვრება, ანდა თეატრის კულისებს მიღმაა ატუზული. ექიმი, თუ პრაქტიკა აქვს გავლილი, მეცნიერებას თვალს აღარ ადევნებს, არცრას, გარდა „თერაპიის სიახლეებისა“, არ კითხულობს და ორმოცი წლისა სერიოზულად დარწმუნებულია, რომ სუყოველი დაავადება გამოწვეულია გაცივებით.

* * *

როცა ჩვენში რამე კარგად ვერ არის, მიზეზს გარეთ ვეძებთ და ეგრევე ვპოულობთ: „სულ ფრანგების მამაძაღლობაა, ურიები ხომ არ გვასვენებენ და არ გვასვენებენ, ვილჰელმმა ხომ შეგვჭამა...“ კაპიტალი, საფრთხული, მასონები, სინდიკატი, იეზუიტები აჩრდილები არიან, მაგრამ სამაგიეროდ, რარიგ გვიმსუბუქებენ თავის ტკივილს!

* * *

ჯერ არ შევხვედრივარ არც ერთ მოხელეს, რომელსაც თუნდაც ოდნავ ეცოდინებოდა თავისი სამუშაოს მნიშვნელობა: ჩვეულებრივ ის ან დედაქალაქში ზის, ან გუბერნიის ქალაქში, თხზავს ქაღალდებს და აგზავნის ზმიევში ანდა სმორგონში შესასრულებლად, ხოლო ეს ქაღალდები ვის აღუკვეთენ მოძრაობის თავისუფლებას ზმიევში თუ სმორგონში, ამაზე ის მოხელე ისევე ცოტას ფიქრობს, როგორც ათეისტი ჯოჯოხეთურ კუპრზე.

* * *

რაკი ვექილი ერთხელ გაიგდებს კარგი დამცველის სახელს, ის უკვე წყვეტს სიმართლის დაცვაზე ზრუნვას და მხოლოდ საკუთრების უფლებას იცავს, დოღს არ აცდენს, ხამანწკებს მიირთმევს და თავი ისე უჭირავს, ვითომ სუყოველი ხელოვნების ფაქიზი მცოდნე იყვეს.

* * *

მთელი რუსეთი როგორიღაც ხარბი და ზარმაცი ხალხის ქვეყანაა: აქ საშინლად ბევრსა ჭამენ, ღლევენ, დღის ძილი უყვართ და ძილში ხვრინავენ. ცოლს ირთავენ ოჯახში წესრიგის დასამყარებლად, საყვარლებს საზოგადოებაში პრესტიჟის (აზრუს) გულისთვის იჩენენ.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №263-265 (2018 წელი)
იხ. №1 -2, 6-11 , 16-18 (2019 წელი)

# ენვერ ნიჟარაძე

# კაცი და საწუთროება

მას შემდეგ მგოსნები სამუდამოდ მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირებზე დარჩნენ და ერთმანეთან შემაერთებელი არც ხიდი, არც ბოგირი და არც ბორანი გულწრფელად აღარ უძებნიათ.

და მაინც, მიუხედავად ამისა, ჩემთვის მთავარია არა ის, თუ რა ათქმევინეს და დააწერინეს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ხელოვნურად გაღიზიანებულ, ღრმად მოხუც კოლაუ ნადირაძეს გალაკტიონზე, არამედ თუ როგორ იგლოვა, როგორ დაიტირა მან ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი წლის გაზაფხულზე შინაგან გაუსაძლისობაში მოქცეული, საავადმყოფოს ბოლო სართულის ლანძვიდან სიკვდილთან შესახვედრად ძირს გადავარდნილი დიდი მგოსანი და თანამედროვე.

ამის შესახებ მე უკვე დავწერე კოლაუ ნადირაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ გამოსათხოვარ წერილში „ფოთლები ქარში“ და აქ აღარ გავმეორდები.

პირველი დანახვისას, მწერალთა სასახლის ბაღში, მგოსანს საქაღალდე ჰქონდა ჩაბღუჯული, მაგრამ შემდგომში საქაღალდით იშვიათად მინახავს. არც რასმე ახალს ართმევდა ვინმე დასაბეჭდად ხელიდან და არც ძველს გამოუცემდა განმეორებით. ხშირად სჭერია ძველებური თვალედი ბადე, რომელშიც ყველაფერი ილანდებოდა და მასში უფრო ხშირად ღვინის ბოთლები ეწყო, სხვადასხვა რაოდენობით, ერთიდან — სამამდე! მოვკრავდი თუ არა თვალს მაჩაბლის ქუჩაზე ამ თავისი თვალედი ბადით, უკვე ვიცოდი, რომ მეგობრები სადღაც იკრიბებოდნენ.

ღვინოს ბოლომდე, ლამის სიკვდილამდე, სვამდა და კარგად იტანდა. რომ ვერ აეტანა, ოთხმოცდაათი წლის კაცი, აბა, ღვინოს როგორ მიეკარებოდა. გადაჭარბება არ უყვარდა, ყოველ შემთხვევაში, ასაკში. თავის ზომა ჰქონდა. ამ ზომას იშვიათად თუ გადაამეტებდა, მაგრამ არც დაიკლებდა. ღვინისგან ენა, ან ფეხარეული არასდროს მინახავს.

ბოლო დროის მეგობრებიდან ყველაზე ხშირად ვლადიმერ ჯიბუტთან ერთად ვხედავდი. არაერთხელ ყოფილა მათთან ოთარ ჭელიძეც.

განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება ჰქონდა ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ირგვლივ თავის დროზე გაერთიანებულ მწერლებთან. რა თქმა უნდა, მათთან, ვინც ომსა და სიკვდილს გადაურჩა. სამწუხაროდ, იმხანად უკვე ბევრი ჩვენთაობელი მწერალი აღარ იყო ცოცხალი: ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალიოშა საჯაია, გიორგი ნაფეტვარიძე, ვაჟიკა ფხოველი, დავით პატატიშვილი, გიორგი შატბერაშვილი...

ლადო ასათიანის მიმართებაზე მისდამი, უკვე ითქვა, სავარაუდოა, რომ სიახლოვე ორმხრივი იყო, რადგან ლადო ისე გულს არავის გადაუშლიდა.

1971 წელს გამოცემულ „ერთტომეულში“ მას შეტანილი აქვს ჩვენთაობელ დიმიტრი ბენაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი, რაც მიანიშნებს, რომ მას კეთილისმყოფელად და თავისიანად თვლიდა, თუმცა, მოგვიანებით, მასვე ცისფერყანწელებთან არასწორი მიმართება უსაყვედურა. ბოლომდე დიდი სიახლოვე ჰქონდა ორ სხვა მკვიდრ ჩვენთაობელთან, ნიკა აგიაშვილთან და რევაზ მარგიანთან.

მწერლობითი საძმო „ცისფერი ყანწები“ დარჩა ჩვენში ერთადერთ მწერლობით ჯგუფად, ევროპულ წესზე შემკულად თავისი მინამართით, გამგეზით, ათვლითი გამოცემებით, მიმართულებით და მისწრაფებით. რაც შეეხება, „ჩვენს თაობას“, ათვლით გამოცემას, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის მატიანეში, თუმცა კი მწერლობით მიმდინარეობად არ ჩამოყალიბებულა, მაგრამ, როგორც ჩანს, კოლაუ ნადირაძეს რაღაცით თავის დაშლილ, დაღუპულ, მაგრამ მარად ძვირფასსახსოვარ საძმოს აგონებდა.

სწორედ ჩვენთაობელთა მეშვეობით დავუახლოვდი საბოლოოდ მოხუც მგოსანს. ეს მოხდა გამომცემლობა „მერანში“, ნიკა აგიაშვილის ოთახში. საღამო ხანს კარი შევაღე და ოთახში სარკმელთან მდგარი ორი მეგობარი ვიხილე.

— ო, მობრძანდი, ენვერ! — შემიპატიჟა ნიკა აგიაშვილმა, — შემოგვიერთდი საუბარში, თუ სხვაგან სადმე არ გეჩქარება!

მე ორთავეს ხელი ჩამოვართვი და ღიმილით ვუპასუხე:

— არსად არ მეჩქარება. რომც მეჩქარებოდეს, შევიცდი, აბა, სხვაგან კიდევ სად ვნახავ ქართველ მწერალთა ორი ღირსეული თაობის ორ ღირსეულ ჭირისუფალს!

სახეზე ღიმილი გადაეფინათ. დიდად ესიამოვნათ მოულოდნელი შეფასება. თუმცა ჩემი სიტყვები იმ წუთას ოდნავ ზეაწეულად ჟღერდნენ, მაგრამ მეგობრების წყნარ საუბარში ბზარი არ შეუტანიათ, რადგან სრულ ჭეშმარიტებას გამოხატავდნენ.

როგორც კოლაუ ნადირაძემ უერთგულა ცისფერყანწელებს, ასევე ღირსეულად უჭირისუფლა ნიკა აგიაშვილმა უდროოდ დაღუპულ ჩვენთაობელებს. მისი გამორჩეული წიგნი „ჭაბუკები დარჩნენ მარად“ დარჩება ლადოს, მირზას, ალიოშას და მათი მეგობრების საშვილიშვილო სახსოვარ ძეგლად და, ამასთანავე, ქართული მწერლობის ერთ ღირსშესანიშნავ მოვლენად.



კოლაუ და ტიციანი

ოთხმოც წელს მიტანებულ ნიკა აგიაშვილს, თმაშევერცხლილ, სათნო სახის ღიმილიან მოხუცს, შენიშვნაც და მკვახე სიტყვაც საკმაოდ ემარჯვებოდა, თუ ამას დრო და ვითარება მოითხოვდა, მაგრამ ჩემდამი ის ყოველთვის თბილად იყო განწყობილი. მეც, ჩემი მხრივ, ვცდილობდი, რომ ვალში არ დავრჩენოდი.

საუბარში ჩავერთე. კარგა ხანს ვილაპარაკეთ მიმდინარე ამბებზე და ბოლოს, ნიკა აგიაშვილის წინადადებით, „მერნის“ მაშინდელი ხელმძღვანელის რევაზ მარგიანის ოთახში გადავინაცვლეთ.

რევაზ მარგიანი ჩემი მიწა-წყლის კაცი იყო, წინმავალი კაცი. პირველი ხელობითი მგოსანი სვანეთიდან. მე მას მახვშს, თავკაცს ვუწოდებდი და ეს დიდად წესიერი და სამართლიანი პიროვნება მართლაც იყო მახვში, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. იმ ხანებში უკვე ცვალებადი გართულებებით ავადობდა და ხშირად მივდიოდი „მერანში“ მოსანახულებლად. თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ იქ მისი უფროსი მეგობრებიც არ დამხვედროდნენ.

დავსხდებოდით ხოლმე საღამო ხანს მის ოთახში, სარკმელთან მდგარ დიდ მაგიდასთან, გადავყურებდით რუსთაველის გამზირს და ვსაუბრობდით.

საუბარი ყოველთვის აქეთურ-იქითურით იწყებოდა და მერე ნელ-ნელა მწერლობით სადინარში ექცეოდა. ბოლოს მოგონებების ჯერი დგებოდა. მე ახალგაზრდა ვიყავი და ბევრი არაფერი მქონდა გასახსენებელი, სამაგიეროდ, მათ ჰქონდათ ბევრი რამ ნანახი, განცდილი და გადატანილი. თხრობა სამთავემ შესანიშნავი იცოდა და ამიტომ მათი მოსმენა ენით აუწერელ სიამოვნებას მგვრიდა.

არაჩვეულებრივად საპრიანო საუბრები იყო. თუ ვინმე ნაგვიანევი სტუმარი, მწერალი, შემოგვესწრებოდა, ხელმძღვანელი და განყოფილების გამგე სამუშაო მაგიდასთან გადაინაცვლებდნენ და მაშინ ორნიღა ვაგრძელებდით საუბარს. ფრანგული სიმბოლისტური მგოსნება მხოლოდ ერთი საკითხი იყო, რომელსაც დაუსრულებლად ვუტრიალებდით. ბევრი რამ მიამბო მგოსანმა მისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ხანის ქუთაისზე: კლასიკურ და ქართულ გიმნაზიებზე; პაოლოზე, ტიციანზე და სხვა ცისფერყანწელებზე; ვლადიმერ მაიაკოვსკიზე; პეტრე ჭაბუკიანზე... ოციანი წლების თბილისზე: კოტე მაყაშვილზე, კოტე მარჯანიშვილზე, გენერალ გიორგი მაზნიაშვილზე. მაშინდელ მჩქეფარე სამწერლობო და სახელოვნებო ცხოვრებაზე. მეტად ძუნწად, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად, გრიგოლ რობაქიძეზე...

როგორც ვთქვი, ამ საუბრების ჩანაწერები არ გამიკეთებია. მაგრამ, რომც ჩამეწერა, უნებართვოდ მათი გამოქვეყნება ალბათ არ ივარგებდა, რადგან ეს მათი მოგონებები იქნებოდა და არა ჩემი.

მამის გარდაცვალებამ საშინელ დათრგუნვილობაში ჩამაგდო. კოლაუ ნადირაძემ მანუგეშა და ასეთი რამ მითხრა: **„უნდა გამაგრდე! მამა კი მოგიკვდა, მაგრამ ის შენ არ დაგშორებია. დაიმახსოვრე, სანამ ცოცხალი ხარ, მუდამ შენ გვერდით იქნება!“**

მისი სიტყვები დავიმახსოვრე, თუმცა მაშინ დიდი მნიშვნელობა მათთვის არ მიმინიჭებია. გამოხდა ხანი და აღმოჩნდა, რომ მგოსანი ჭეშმარიტებას ღაღადებდა. ლამის ორი ათეული წელი გადის მამის გარდაცვალებიდან, მისი ნათელი სახება კი არ მშორდება და ყველა ძნელ და გამოუვალ ვითარებაში თავს დამტრიალებს.

განსაკუთრებით დევნილობაში მახსენდებიან მშობლები ხშირად. ახლა უკვე აღარც დედა მყავს ცოცხალი. ორივე ქუთაისში, ოღასკურის სასაფლაოზე განისვენებს სამუდამო ძილით და ვერავინ, ვერასოდეს, ვერაფრით ვერ გადამარწმუნებს, რომ უცხოეთიდან ჩემს დაბრუნებას, მათ სამარეზე მისვლას და სანთლის დანთებას არ ელოდება.

თვითონ კოლაუ ნადირაძეს თავისი „ერთტომეულისთვის“ ასეთი მიძღვნა აქვს წამძღვარებული: **„ძვირფასო მამა! შენ ვერ მოესწარ ამ წიგნს. იგი მხოლოდ გამოთქმაა იმისა, რასაც რგავდი ჩემში შენი სათუთი ხელით. ჟამსა მყუდროებისა, შენს მუხლებზე მჯდომი, ჯერ კიდევ ყრმა, ჩუმად გისმენდი და ვითვისებდი შენს სიყვარულს და შებრალებას ყოველი სულდგმულისადმი. შენ შემასწავლე გულისხმიერებით ადამიანთან მისვლა, ჩემი ერისა და დიდი ქართული ენის სიყვარული. შენ შთამაგონე პატიოსნების რაინდულად დაცვა, შენგან გავიგე, რომ მშფოთვარე სულს სიმშვიდეს გვრიან თვალები, თუ მათ შეაჩვევ ხშირად უცქირონ ცის უძირო ლაჟვარდს. მთელი ცხოვრების მანძილზე არ ყოფილა წუთი, რომ არ გეცოცხლა ჩემში, რომ მაგალითს შენი კეთილშობილი სიცოცხლისა არ მოეცა გამხნევება და სულიერი სიმტკიცე, და თუ ვერ ვაქციე სიმღერად, რაც მსურდა, რაც სულის წიაღში იყო, შენი ნათელი ხსოვნის წინაშე წარსდგეს ეს წიგნი, ნიშნად ჩემი დაუვიწყარი სიყვარულისა.“**

ამ მშვენიერ, ამაღელვებელ სიტყვებში მამაშვილობის დღეისდღეობით თითქოსდა გახუნებული არსი პირველადი ფეროვნებით ხასხასებს.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეტს ვფიქრობ გარდაცვლილებზე. და თუ მე ამ დღეში ვარ, წარმომიდგენია, რა ფიქრებში იქნებოდა დღენიადაგ ასაკით საუკუნეს მიღწეული კაცი, რომლის ყველა თანატოლი უკვე საიქიოში იყო გადასული.

ნელ-ნელა იმ ქვეყნად გაიკრიფნენ ჩემი უფროსი მეგობრებიც.

ჯერ რევაზ მარგიანი გარდაიცვალა, სამთაგან ყველაზე ახალგაზრდა, მერე მათ შორის შუათანა, ნიკა აგიაშვილი, ბოლოს კი უხუცესს, კოლაუ ნადირაძეს მიუკაკუნა კარზე ციურმაცნემ.

სამივე მათგანს მე ჩემი გულწრფელი, გამოსათხოვარი სიტყვა ვუთხარი და ალალი ცრემლით დავიტირე.

რაც შეეხება კოლაუ ნადირაძეს, მის დაკრძალვაში მონაწილეობა, როგორც საქართველოს დამოუკიდებელი მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, სამსახურებრივადაც მევალებოდა. ამიტომ კარგად ვიცი, სად და რა წინააღმდეგობა შეგვხვდა. ლამის ხელჩართული ბრძოლა შეიქნა საჭირო, რომ განმკარგავი სამსახურებისთვის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საგანსვენებოში გარდაცვლილი მგოსნის დასამარხად საფლავის მიწა წაგვეგლიჯა...

ახსოვდათ მისი ლექსი „25 თებერვალი, 1921 წ.“, ახსოვდათ მწარედ და ამიტომ მისთვის საფლავის მიწაც არ ემეტებოდათ.

და მაინც, სამართალმა პური ჭამა და რთულ, არეულ დროში, როცა, რომ იტყვიან, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, ბევრისგან მოძულებული და მივიწყებული, მეამბოხე ქართველი მგოსანი კოლაუ ნადირაძე ღირსეულად დაიტირა მისმა სათაყვანებელმა სამშობლომ!

ჯიუტი მოხუცი იყო.

თავისნათქვამა.

შვიდი ათეული წელი მწარე, დაუნდობელი სინამდვილით გარემოცული, მაინც ბოლომდე მეოცნებედ დარჩა. ამ მეოცნებეობამაც შეუწყო ხელი მის სულიერ გადარჩენას.

არც სიკვდილი სურდა.

არ სურდა ამ ქვეყნიდან დამარცხებული წასვლა.

და მიაღწია კიდეც თავისას.

საკუთარი თვალით იხილა ძმათა მისთა მკვლელი ხელისუფლების გაცამტვერება და დასამარება. მის თვალწინ წყალში ჩავარდნილი „ფაჩიკოს გარმონივით“ დაიშალა ერთ დროს მძლავრი და ულმობელი სადამსჯელო წარმონაქმნი, ცა ქუდად რომ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. პირადად შეესწრო საქართველოს თავისუფლების ახალ გარიჟრაჟს.

კოლაუ ნადირაძე მე მაგონებს უდრეკ სანტიაგოს ერნსტ ჰემინგუეის მოთხრობიდან „მოხუცი და ზღვა“. როგორც სანტიაგომ მოიხელთა დიდი თევზი, ისე კოლაუ ნადირაძე ეზიარა დიდ მგოსნურ შთაგონებას. როგორც მეთევზე იბრძოდა მეთევზის სახელისთვის, ანუ ზღვაში მის მიერ დაჭერილი, ორხხომელზე მიბმული, დიდი თევზის დასანარჩუნებლად, ისეთივე სიჯიუტითა და თავგამოდებით ცდილობდა მგოსანი საზოგადოდ მწერლის, კერძოდ კი ქართველი მწერლის ღირსების შენარჩუნებას. მაგრამ თუ მოხუც მეთევზეს თევზი ნაპირზე მიტანამდე ზვიგენების ხროვამ შეუჭამა და ხელთ მხოლოდ უხორცო ჩონჩხი შეატოვა, მგოსანმა, რაღაც სასწაულით, თავი დააღწია წითელი ურჩხულის სისხლიან ხახას და ამ ქვეყნად მისი და მისი ცისფერყანწელი მეგობრების ერთ დროს ბედნიერი, შემდეგ კი წამებული, საგოდებისო ცხოვრებისა და არსებობის მოწმე და ამსახველი შემოქმედება სამშვიდობოზე გამოიტანა!

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №11, 16-18

№ 19. სამშაბათი, 29 იანვარი, 2019 წელი.

# გაბუტვა და ტირილი არ ეგების...




**ბოლო ხანებში რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის ოდნავ შეცვლის კვალობაზე, ქართველ საზოგადოებრიობას მოეძალა ფიქრი, დღეს და მომავალში როგორ უნდა განვაგრძოთ ჩვენი კავშირები მეზობელ დიდ, ძლიერ და საკმაოდ თვალთმაქც ქვეყანასთან? — ემოციებმა განსაკუთრებით იმძლავრა რუსეთსა და მის დედაქალაქში ქართული ანსამბლების და კერძო შემსრულებლების გასტროლების შემდეგ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა ორი რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება. ერთნი ამას ჩვეულებრივ და საჭირო ფაქტად მიიჩნევენ, მეორენი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ასეთ ვოიაჟს და სახელოვან ანსამბლებს და მის ხელმძღვანელებს ლამის სამშობლოს უძღებ შვილებად თვლიან. საყურადღებოა, რომ სატელევიზიო გამოკითხვის დროს, მაყურებელთა 75 პროცენტი ე.ი. სამი მეოთხედი ასეთ გასტროლებს დადებითად შეხვდა, ხოლო 28 პროცენტი, ერთი მეოთხედი — უარყოფითად.**

გეოგრაფიულ რუკაზე საქართველოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ადგილი უკავია და სწორედ ამიტომ ბევრი მეზობელი ქვეყანა წარსულშიც და ახლაც ცდილობს მის ხელში ჩაგდებას. ამ მხრივ გამორჩეულია რუსეთი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის დაპყრობის სურვილი ჯერ კიდევ ჩრდილო კავკასიის ხალხების ანექსიის (3-4 საუკუნის წინათ) შემდეგ გაუჩნდა, რაც მოგვიანებით სისრულეში მოიყვანა კიდეც. ამ ხნის განმავლობაში რუსეთმა რა დიდი მორალური, ეკონომიკური და სულიერი ზარალი მიაყენა დაპყრობილ ქვეყანას, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. შევეხები მხოლოდ ჩვენს დროში, სულ რაღაც 10 წლის წინათ განხორციელებულ ოკუპაციას, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს, ბუნებრივია, პირველ რიგში, ქართველს, გულზე მაჯლაჯუნასავით აწევს და მოსვენებას უკარგავს.

ნაწილობრივ ჩვენი ბედოვლათობით რუსეთმა აისრულა დიდი ხნის წადილი, რომელსაც „მეტეხელმა ბიჭმა" „домашняя заготовка" უწოდა და ახლაც თავი მოაქვს იმით, რომ ტერიტორიის 20 პროცენტი ჩამოაშორა საქართველოს; უფრო მეტიც, ეს პაწია ტერიტორიები აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ეს „ზაგატოვკა" არც გუშინ და არც 2008 წლის აგვისტოში არ დაწყებულა. ნაღმი ჩვენს მიწაში ჩამარხეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა შეიქმნა აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომიები (აჭარა სხვა თემაა და აქ აღარ ვისაუბრებთ).

დიახ, ჩრდილოელმა გველეშაპმა მიიტაცა ჩვენი მიწები და იქ ისეთი დიდი სამხედრო ძალა ჩააყენა, რომელსაც ერიდებიან არა მარტო ჩვენსავით პატარა, არამედ დიდი ქვეყნებიც კი.

მთავარი ისაა, რომ რუსეთმა აფხაზეთი და ოსეთი აღიარებინა თავის სატელიტებს, უპირატესად ამერიკის კონტინენტის ქვეყნებს, რომლებიც მიგდებული ნასუფრალის საფასურად დათანხმდნენ 3000-წლიანი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნის დაგლეჯა-დანაწევრებას. მადლობა ღმერთს, ისინი ცოტანი არიან და სხვა ქვეყნები და საერთაშორისო აზრი ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება, თუმცა გამორიცხული არაა, კიდევ გამოჩნდეს რომელიღაც მშიერი კუნძული, თავისი 1500-კაციანი მოსახლეობით, რომელიც ასევე წამოეგოს „ბოროტების იმპერიის" ნასროლ ანკესზე.

საკმაოდ ვრცელი შესავლის შემდეგ, მივედით მთავარ კითხვასთან: როგორ მოვიქცეთ? ვითანამშრომლოთ თუ ცრემლები ვღვაროთ? გაბუტვის მომხრეებმა კარგად უწყიან, რომ ძალით რუსეთს ვერას დავაკლებთ, მაგრამ მათ საერთაშორისო თანამეგობრობის იმედი აქვთ. ასეთი კონფლიქტების დროს (რომლის წარმოქმნის ოსტატი თვით რუსეთია) ჯერ არ მეგულება არც ერთი მაგალითი, როცა სხვა ქვეყნები ან დიდი გაერთიანებები (გაერო, ნატო, ევროკავშირი და სხვ.) ჩარეულიყოს და კონფლიქტები მოეგვარებინოს. ამის მაგალითად მარტო ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი რად ღირს, აღარაფერს ვამბობ ჩინეთ-ტაივანზე, თურქ-ქურთებზე, თურქეთ-კვიპროსზე და ყოფილ იუგოსლავიაზე, სადაც კონფლიქტები არათუ მოგვარდა, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდა და გაღვივდა, რაც ხელს აძლევს რუსეთისთანა გამობრძმედილ სიცრუის იმპერიებს.

მაშ, რისი იმედით გვსურს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება? ძალით, როგორც აღვნიშნე, ამის გაკეთება არ შეგვიძლია, სხვისი, გნებავთ ჩვენთვის თავგადადებული პარტნიორების იმედიც არ უნდა გვქონდეს, რადგან არც ერთი ქვეყანა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ერთ ჯარისკაცსაც არ გაიმეტებს.

მეზობელი ქვეყნების ხელისუფალთა ბოროტი ქმედებების ფონზე, ერთადერთი იმედია ამ ქვეყნის ხალხი, დიდი მასა, რომელსაც ჩვენს მიმართ აღუდგება სიმპათია და დღეს თუ არა ხვალ, აიძულებს საკუთარ მთავრობას, მოეშვას სხვა ხალხების დამონების, სხვისი მიწების დაპყრობის პოლიტიკას. თუ ამას არ დაიჯერებს, მაშინ იგივე მასა წალეკავს მას და მოიყვანს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც მის ინტერესებს პატივს სცემს.

ავად თუ კარგად, შიშით თუ სიყვარულით, საბჭოთა ეპოქაში ხალხები მართლაც მეგობრულად ცხოვრობდნენ, ამას მოკავშირე რესპუბლიკების „ერთი მეგობრული ოჯახი" ერქვა, რაც მაშინდელი იდეოლოგიის მთავარ იარაღს წარმოადგენდა. თუმცა, ყველა რესპუბლიკას საკუთარი „ოჯახი" გააჩნდა და შეურყევლად იცავდა თავის ენას, კულტურას, ისტორიას და ტრადიციებს. მაშინ ხალხებს მართლაც უყვარდათ ერთმანეთი და ხშირად თავსაც არ ზოგავდნენ სხვა ხალხის ინტერესების დასაცავად. ასეთი შეგნება გააძლიერა მეორე მსოფლიო ომმა, სადაც მილიონობით საბჭოთა ადამიანი მონაწილეობდა და იქ თითქმის არავინ კითხულობდა, რა გვარის იყო, რომელ ერს მიეკუთვნებოდა, „საბჭოთა ჯარსიკაცი" — ეს ერთი უბრალო სახელი აერთიანებდა იმ მილიონებს, რომლებიც სიცოცხლეს ერთი და იგივე მიზნისთვის სწირავდნენ.

შესაძლოა, კარგი მაგალითი არ გამომივიდა, მაგრამ ჩემი აზრით, ხალხის ძალას განსაკუთრებით ახლა, როცა რუსეთშიც გაჩნდა დემოკრატიის ნიშნები, მის მიზანსწრაფვას წინ ვერაფერი დაუდგება.

ხალხებს შორის სიყვარული ვახსენე, აქ დავამატებ, რომ ამ სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაში დიდი იყო კულტურის (კინო, თეატრი), სპორტის, განათლების, მეცნიერების და სხვათა როლი, ე.ი. მაღალი ჩინოვნიკების ბოროტ ზრახვებს, თავისი კეთილი ქმედებით მოსახლეობის ინტელექტუალური ფენა ელობებოდა. ანდა აიძულებდა ხელისუფლებას, გონს მოსულიყო და ხელი აეღო სხვა ხალხების დისკრიმინაციაზე.

ნიკიტა ხრუშჩოვმა, ქართველთმოძულემ, თავისი კარიერის ბოლო წლებში, ქართველების და აფხაზების შუა აზიაში გადასახლება გადაწყვიტა. ამის შესახებ მან ოფიციალურად განუცხადა მოსკოვში საგანგებოდ გამოძახებულ ვასილ მჟავანაძეს. გონიერმა ქართველმა ლიდერმა პირველი ელდა დასძლია და ხრუშჩოვს სთხოვა, არეულობების თავიდან ასაცილებლად და ხალხის შესამზადებლად ექვსი თვე მომეციო. სამშობლოში დაბრუნებისთანავე მჟავანაძემ აგარაკზე მიიწვია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი, უშიშროების მინისტრი ალექსი ინაური და ხრუშჩოვის მზაკვრული გეგმა გააცნო. შემდეგ რა მოხდა, დეტალები უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ დათქმული ექვსი თვის გასვლამდე ნ. ხრუშჩოვი სოჭში სწორედ ა. ინაურმა აიყვანა და მისი ბნელი ზრახვებიც ამით დასრულდა.

ამ ფაქტის მეორე გაგრძელებაც არსებობს. ვასილ მჟავანაძის ცოლი მოსკოვში საგანგებოდ ჩავიდა, ნახა ნიკიტას მეუღლე, ნინა პეტროვნა (ორივე უკრაინელი იყო) და გააცნო ქმრის საშინელი განზრახვა. ნინა პეტროვნა, ამ შემთხვევაში რიგითი რუსი, გარეგნულადაც უბრალო ადამიანი, საწოლში შეუვარდა ნასვამ ნიკიტას, კარგი მაგარი ალიყურიც აჭამა და აიძულა, თავისი განზრახვა შეეცვალა.

დიახ, ეს გააკეთა „დიდი ხელმწიფის" ცოლმა, მაგრამ უბრალო, რიგითმა რუსმა, რომელიც ნიკიტას სიკვდილის შემდეგ, მარტივად და უპრეტენზიოდ ცხოვრობდა.

გაიხსენეთ 2008 წლის აგვისტოში ჩვენი დიდი მეგობრის, ჟურნალისტ იური როსტის გამოსვლა: „ორი საუკუნე ვეჩვეოდით ერთმანეთს, ვითმენდით ერთმანეთს, რათა აღმოცენებულიყო გრძნობა, რომელზეც ახლა ხელი აღმართეს რუსეთის დროებითმა მმართველებმა (საქართველოს ხელმძღვანელების სისულელეებზე ქართველებმა წერონ).

დღეს მე, რუსი კაცი, ვაცხადებ, მე ქართველი ვარ და ვამაყობ ამით."

ასეთი „ქართველები" რუსეთში ბევრი გვყავდა, მაგრამ „გაბუტვით" და ჩვენზე თავსმოხვეული რუსული პროპაგანდით, დავკარგეთ. ახლა ისინი ცოტანი არიან. რაა საჭირო იმისათვის, რომ მეზობელ ქვეყანაში კვლავ მოგვიმრავლდნენ იური როსტები? კულტურული, სავაჭრო, ეკონომიკური, სამეცნიერო, სპორტული ურთიერთობები. ახლა მოვიდა ისეთი თაობა, რომელსაც რუსეთის ხელისუფალნი და მათი კარნახით უძლიერესი მასმედია, დღენიადაგ უნერგავს ქართველთა სიძულვილს, „აცნობს" თითქოსდა მისი სახელმწიფოებრიობის ძალზე მოკლე წარსულს და ბარბაროსობას, მოსაბეზრებელ და აუტანელ წეს-ჩვეულებებს. აქ აღარაა საუბარი ქართველებზე, როგორც უძველეს ეთნოსზე, დიდ კულტურაზე, სტუმართმოყვარეობაზე, ნიჭსა და ტალანტზე, რასაც რუსი ხალხი, დიახ, უბრალო ხალხი, წარსულში ხაზგასმით და პატივისცემით აღნიშნავდა.

აი, ეს უნდა აღვადგინოთ რუსი ხალხის გონებაში, მოვანატროთ ის დრო, როცა ქართველი მეცნიერები სასწაულებს ახდენდნენ, მსახიობების განსახიერებული როლები ხომ არ ავიწყდებოდათ („ჯარისკაცის მამა" ახლაც დააბიჯებს რუსეთის მიწაზე), სპორტულ არენებზე ქართველი ფალავნები ჭეშმარიტ გმირებად ჩანდნენ... ვაჩვენოთ ქართველი ქალის გონიერება და განუმეორებელი სილამაზე, მამაკაცის რაინდობა, რაც ცეკვასიმღერაში აისახება ხოლმე და ა.შ.

იმას, რასაც იატაგანით, „რაგატკით" და დამბაჩით ვერ შევძლებთ, სიბრძნით, ჭკუა-გონებით, „ჩაკრულოთი", ცერულით და ქართველი ქალის ყოვლისშემძლე მანდილით უნდა მივაღწიოთ. გაბუტვა და ტირილი არ ეგების, რამეთუ „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა."

**რამაზ სურმანიძე,**
**მწერალი.** ბათუმი

## NATO-ს სწავლებები ესტონეთში

**ესტონეთის თავდაცვის უწყება ავრცელებს ცნობას, რომ 29 აპრილს, NATO-ს ეგიდით დაიწყება საერთაშორისო სამხედრო წვრთნები, რომელშიც 10 000 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას. წვრთნების დასრულების თარიღი ჯერ დაზუსტებული არ არის.**

**ესტონელი სამხედროების ცნობით, სწავლება „გაზაფხულის შტორმი" ესტონეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში ჩატარდება. უკვე დაზუსტებულია, რომ მასში ესტონელების გარდა მონაწილეობას აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ბელგიის არმიის ქვედანაყოფები, ასევე, ესტონეთში დისლოცირებული NATO-ს ბატალიონის სამხედრო კონტინგენტი მიიღებს მონაწილეობას. სხვა ქვეყნების სამხედროების მონაწილეობის საკითხი ჯერჯერობით ზუსტდება.**



## ერთიანი ევროპის იდეა საფრთხეშია

**„ევროპის იდეა საფრთხეშია" — ასე იწყება ღია წერილი, რომელსაც ევროპული საზოგადოებისა და კულტურის 30 თვალსაჩინო წარმომადგენელი აწერს ხელს და ევროპის მოსახლეობას პოპულისტების გავლენისგან თავის დაღწევას ურჩევს.**

**მილან კუნდერა, სალმან რუშდი, ორჰან ფამუკი, მარიო ვარგას ლიოსა და ევროპული კულტურისა და საზოგადოების კიდევ 26 თვალსაჩინო წარმომადგენელი აწერს ხელს ამ ღია წერილს, რომელშიც, მაისში დაგეგმილი ევროპარლამენტის არჩევნების წინ, ევროკავშირის მოსახლეობას დაკვირვებული არჩევანის გაკეთებას ურჩევს.**

**ყოველი მხრიდან ისმის ყვირილი — „გვეყოფა ევროპის შენება", „აღვადგინოთ კავშირი შვენს ეროვნულ სულთან", „დავუბრუნდეთ ეროვნულ იდენტობას!" ეს გახლავთ პოპულიტსების მთავარი დღის წესრიგი, რომელმაც მთელი ევროპა მოიცვა. დარწმუნებული იყავით, რომ „სული", „იდენტობა" და სხვა მსგავსი ფრაზები მხოლოდ დემაგოგიის იარაღია, — აცხადებენ წერილის ავტორები.**

**წერილის ავტორების თქმით, თუ არ მოხდა შესაბამისი ზომების მიღება და ევროპის მოსახლეობამ დაუფიქრებელი არჩევანი გააკეთა, უახლოეს მომავალში, ფაშიზმზე გამარჯვების შემდეგ, ევროპას ცივილიზაციის შენარჩუნებისთვის ახალ ბრძოლაში ჩართვა მოუწევს.**

**ევროპის კულტურის მოღვაწენი ფაქტიურად მიანიშნებენ, რომ ეს პოპულისტები და დემაგოგები ძირითადად კრემლიდან ფინანსდებიან და იმართებიან, რომლისთვისაც ევროკავშირის დაშლა სანუკვარ მიზანს წარმოადგენს.**

**„თუ არ გაჩნდება წინააღმდეგობის ახალი სული, ეს არჩევნები იქნება ყველაზე საშინელი, რაც ჩვენ ვიცით, მასში მავნებლები გაიმარჯვებენ. მათთვის ვისაც კიდევ სწამს ერაზმის, დანტეს, გოეთეს, კომენსკის იდეების, ეს სამარცხვინო დამარცხებად შეიძლება გადაიქცეს. გაიმარჯვებს ინტელექტისა და კულტურისადმი ზიზღის პოლიტიკა. იქნება ქსენოფობიისა და ანტისემიტიზმის აფეთქება," — წერენ ინტელექტუალები.**

# საქართველო არ უნდა იქცეს საერთაშორისო დაპირისპირების ასპარეზად!..



**თბილისის ღია უნივერსიტეტში მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომელიც ყაზახეთის რესპუბლიკის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოში გაწეული მუშაობის შედეგებს მიეძღვნა. განხილვაში მონაწილეობდნენ აკადემიური საზოგადოების წევრები, პოლიტოლოგები, ეკონომისტები, იურისტები.**

**2016 წლის 28 ივნისს გაეროს ნიუ-იორკის შტაბბინაში, კენჭისყრის შედეგად, ყაზახეთის რესპუბლიკამ 193 ხმიდან დააგროვა 138 გაეროს წევრი-სახელმწიფოს ხმა და პირველად იქნა არჩეული გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად, 2017-2018 წლების მანძილზე. ყაზახეთი თავისი ვალდებულებების შესრულებას 2017 წლის 1 იანვარს შეუდგა — პირველი შემთხვევა, როდესაც შუა აზიის რეგიონის წარმომადგენელს ხვდა წილად ამ ფუნქციის შესრულება. 2018 წლის იანვარში ყაზახეთმა დაიკავა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ადგილი. ყაზახეთის უფლებამოსილებები უშიშროების საბჭოში გასული წლის 31 დეკემბერს დასრულდა.**

შუააზიური სახელმწიფო გაეროს უშიშროების საბჭოს წევრობას იყენებდა თავისი ეროვნულ-სტრატეგიული ინტერესების განსახორციელებლად, საკუთარი სტაბილობისა და უსაფრთხოების გასაძლიერებლად, ისევე, როგორც მთელი შუა აზიის რეგიონში ამავე შედეგის მისაღწევად. ასტანის ოფიციალური პოზიცია იყო და არის ცენტრალური აზიის რეგიონის გადაქცევა „მშვიდობის, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ზონად".

ქართველმა ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ოფიციალური ასტანის მიერ დასმული აქცენტები, როდესაც იგი უშიშროების საბჭოს წევრი, და განსაკუთრებით, თავმჯდომარე იყო, საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია. მაგალითისთვის **ავღანეთიც** საკმარისია, რომელშიც ვითარების დარეგულირებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ყაზახეთის სახელმწიფო. ჩვენი ქვეყანა ხომ აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ავღანეთში ნატოს მისიაში, ქართველი სამხედროები საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ამყარებენ მშვიდობას ავღანეთში, ამ რისკის ფასი ჩვენ ვიცით დაღუპული ქართველი სამხედროების სავალალო მაგალითზე. ქართველი საზოგადოებრიობა ავღანეთის ტერიტორიაზე მისიას არაერთგვაროვნად აღიქვამს, ისმის კრიტიკა. ასე რომ, რაც უფრო მალე გადაწყდება ავღანეთის პრობლემა, მით უკეთესი ყველასათვის, მათ შორის, საქართველოსათვის.

ყაზახეთი ავღანეთს დაეხმარა საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაში, ამ ქვეყანაში არსებული ურთულესი ფონის მიუხედავად, და ეს არჩევნები შედგა. გარდა ამისა, ყაზახეთი ეხმარებოდა და ეხმარება ავღანეთს განათლების, სოფლის მეურნეობის სფეროებში, ასევე ფქვილისა და ხორბლის მიწოდებაში, ხიდებისა და ჯებირების მშენებლობაში, ყაზახეთმა ააშენა წყალსაცავი და სკოლები, საავადმყოფოები, გზები და ხიდები. ეს არასრული სიაა იმისა, რასაც ყაზახეთი აკეთებს, რათა დააჩქაროს ავღანეთის განვითარება. ყაზახეთმა საკუთარ თავზე აიღო 1000 ავღანელი სტუდენტის განათლების ვალდებულება. ეს პროგრამა გრძელდება და 2019 წლიდან აქცენტი ქალებზე გაკეთდება. სწავლება არა მხოლოდ სტუდენტებისათვის, არამედ მოქმედი სპეციალისტებისთვისაც იქნება.

კიდევ უფრო საგრძნობი და თვალშისაცემია ყაზახეთის მცდელობები, გაუმჯობესდეს ვითარება **სირიის არაბულ რესპუბლიკაში**. საქმე მხოლოდ და არა იმდენად ოპერატიულ ვითარებას ეხება, რომელიც ამ ქვეყანაში ბოლო თვეების მანძილზე საგრძნობლად გაუმჯობესდა. ბევრად უფრო რთული ამოცანა იყო თურქეთის, ირანის, რუსეთისა და შეერთებული შტატების ინტერესების ჰარმონიზება სირიის საკითხის გარშემო. ამ სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერსების შეცვლა პრინციპში შეუძლებელია, მაგრამ ყაზახეთს არც დაუსახავს თავისთვის მიუღწეველი მიზნები. სამაგიეროდ, აშკარაა დიდი მოთამაშეების პოზიციების შერბილება. ისინი ისე აქტიურად აღარ უყენებენ ერთმანეთს ბრალდებებს ამა თუ იმ ქმედებებში, როგორც ამას წინა წლებში აკეთებდნენ.

მრგვალი მაგიდის მომხსენებელმა, პოლიტოლოგმა **გულბაათ რცხილაძემ** აღნიშნა:

**„მასობრივი განადგურების შეიარაღებების გაუვრცელებლობა — დღესდღეობით, კაცობრიობის გადარჩენის საკითხია. ეს არის ყაზახეთის გზავნილი, რომელიც მან მსოფლიოს გააცნო პლანეტის მთავარი ტრიბუნიდან. ეს არ იყო მხოლოდ მოწოდება, არამედ დეტალური გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ბირთვული საფრთხის მინიმიზაცია. გაეროს უშიშროების საბჭოში ყაზახეთის თავმჯდომარეობის მთავარ ღონისძიებად გვევლინება 2018 წლის 18 იანვარს უმაღლეს დონეზე გამართული თემატური ბრიფინგი, რომელსაც ყაზახეთის პრეზიდენტი ნაზარბაევი პირადად უძღვებოდა. სხდომა მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის ფარგლებში ნდობის ჩამოყალიბების ღონისძიებებს ეხებოდა. ნურსულთან ნაზარბაევმა წამოაყენა ინიციატივა, შემუშავებულ იქნას მასობრივი განადგურების იარაღის შესყიდვის და გავრცელების შემთხვევაში დასჯის მექანიზმი, რომელიც რეალურად შეძლებს მუშაობას. ნაზარბაევმა ასევე მოითხოვა, რომ გართულდეს ბირთვული შეიარაღების გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესაძლებლობა. ყაზახეთის პრეზიდენტის აზრით, მთავარი მაინც ნდობის ჩამოყალიბებაა, დიალოგი სახელმწიფოთა შორის, ნაცვლად სახიფათო დაპირისპირებისა. ყაზახეთის პოზიციაა, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ, იყვნენ წარმატებულნი და მსოფლიოში ავტორიტეტულნი ასეთი შეიარაღებების ფლობის გარეშეც.**



**სხდომის შედეგად მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდმომარის განცხადება (Presidential statement) გრიფით S/PRST/2018/1 ეძღვნება კონფლიქტების პრევენციის ყოვლისმომცველ სტრატეგიას. ამ დოკუმენტში სხვადასხვა მოთხოვნასთან (ძირითადად, პრევენციული ხასიათის) ერთად, პირველად იქნა შეტანილი მასობრივი განადგურების შეიარაღების გაუვრცელებლობის საკითხები. ამაში გამოიხატება მოცემული დოკუმენტის უნიკალურობა.**

**უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის რანგში ყაზახეთის რესპუბლიკამ უზრუნველყო უშიშროების საბჭოს შეუფერხებელი მუშაობა, გაეროს სამდივნოსთან ერთად, და ასრულებდა მასზე მანდატით დაკისრებულ ფუნქციებს. ყაზახეთის თავმჯდომარეობის პერიოდში შედგა 30-მდე სხდომა კონსულტაციების, ბრიფინგებისა და დებატების ფორმატში, რომელთა შედეგად მიღებულ იქნა რეზოლუციები და საბჭოს თავმჯდომარის განცხადებები პრესისათვის.**

**ჩვენ კი, საქართველოში, ვუწყით, რომ ყაზახეთი ჩვენი საიმედო მეგობარი და მოკავშირეა ტერიტორიულ პრობლემასთან დაკავშირებით; ასტანა არასოდეს არ სცნობს ჩვენს მიწებს „დამოუკიდებლად". ჩემი სახელით და, ვფიქრობ, არავინ ამ დარბაზში არ იქნება წინააღმდეგი, თუკი ვიტყვი თქვენი სახელითაც, მინდა, მადლობა გადავუხადო ყაზახეთს ასეთი პოზიციისათვის, ისევე, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის".**

**გულბაათ რცხილაძემ ასევე გაახმიანა თაოსნობა, რომელიც დაკავშირებულია კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მშვიდობის საკითხების კვლევების დაწყებასთან, ამერიკელი, რუსი, ყაზახი და კავკასიელი ექსპერტების მონაწილეობით:**

**„დაბოლოს, გთხოვთ, ნება მიბოძოთ, დღესვე გავაჟღერო ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც თქვენ, როგორც ექსპერტებს, დაგაინტერესებთ:**

**გამოვდივარ ინიციატივით, საქართველოში ჩამოყალიბდეს საერთაშორისო საექსპერტო პლატფორმა კავკასიის, შუა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებული დიალოგის დასაწყებად. საუბარია საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, შეერთებული შტატებისა და რუსეთის წარმომადგენელ პოლიტოლოგებსა და მომიჯნავე სფეროების ექსპერტებზე.**

**როგორც აღვნიშნე, „დიალოგი" უნდა მიმდინარეობდეს საერთაშორისო ექსპერტებს შორის, მოიძებნოს კომპრომისი კავკასიურ პოლიტიკაში, შერბილდეს სადავო საკითხები და არ დავუშვათ ჩვენი რეგიონის გადაქცევა კონფრონტაციის ან, სულაც, ომის არენად. კავკასიური პრობლემატიკა საკმაოდ მჭიდროდ არის გადაჯაჭვული კასპიურ-შუააზიურ რეგიონთან. ყაზახეთს თავისი კონკრეტული ეკონომიკური ინტერესები აქვს საქართველოში თუნდაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების გამო. ყაზახეთი გახლავთ აზერბაიჯანის მეზობელი კასპიის ზღვაზე და აწარმოებს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს ბაქოსთან. სომხეთთან ყაზახეთს აქვს საერთო თავდაცვითი სივრცე „ოდკბ"-ის ფარგლებში. ყაზახეთი და მისი შუააზიელი მეზობლები დაინტერესებულნი არიან „სტაბილობის სარტყლის" გაფართოებაში, თავის გარშემო — კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში აქტუალური რელიგიური ექსტრემიზმის პრობლემასთან დაკავშირებით. ასე რომ, მთლიანობაში ზედმეტია, ვამტკიცოთ კავკასიის, შუა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონების ურთიერთკავშირი. ეს არის ერთმანეთზე დამოკიდებულობა ევრაზიის კონტინენტის მასშტაბით.**

**ვფიქრობ, რომ პერსპექტივაში ჩაერთვებიან თურქი და ირანელი სპეციალისტებიც, ეს მომენტი მომწიფდება, თუკი პლატფორმა დაიწყებს ფუნქციონირებას. პლატფორმა ჩაფიქრებულია საერთაშორისო ექსპერტების პირდაპირი დიალოგისათვის, მოძებნილ იქნას შეხების წერტილები.**

**დღის წესრიგი ჯერ არ არის გარკვეული, ამჟამად ვაწარმოებ მოლაპარაკებებს რუს და ამერიკელ კოლეგებთან. აზერბაიჯანელი და სომეხი კოლეგების ინფორმირება მოხდება ამ მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში. თავიანთი რჩევებით გვეხმარებიან ასევე ყაზახელი სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ამ მხრივ თავიანთი ქვეყნის სხვადასხვა სამშვიდობო ინიციატივების წყალობით. შემდეგ ეტაპზე ისინი პროცესში პირდაპირ ჩაერთვებიან.**

**იმედი მაქვს, რომ ყოველი თქვენგანი დაინტერესდება ამ პროექტით. მე მქონდა იდეა, უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნას „მშვიდობის პრობლემების შემსწავლელი ცენტრი". დღეს ჩვენ ახლოს ვართ ამ იდეის განხორციელებასთან.**

**ჩვენი მიზანია: არ დავუშვათ კავკასიის და, განსაკუთრებით, საქართველოს საბოლოო ჩამოყალიბება რუსეთსა და ამერიკას, დასავლეთს შორის დაპირისპირების ასპარეზად. ჩვენი პროექტი უნიკალურია, მას არა აქვს ანალოგი. ამაშია მისი მიმზიდველობა, მაგრამ, ამავე დროს, სირთულეც".**

შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ თურქოლოგი **ზაურ მჭედლიშვილი**, კავკასიოლოგი **მამუკა არეშიძე**, პოლიტოლოგი, პროფესორი ვალერიან დოლიძე, აღმოსავლეთმცოდნე **ვასილ პაპავა**, ისტორიკოსები **ტარიელ გაგნიძე** და **ვიქტორ ცააავა**, ეკონომისტები **იოსებ არჩვაძე**, **დემურ გიორხელიძე** და სხვა სპეციალისტები. შეხვედრას ესწრებოდნენ ჟურნალისტები, თბილისის ღია უნივერსიტეტის ლექტორები და სტუდენტები, სხვა დაინტერესებული პირები. გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება, მაგრამ მომხსენებლები სოლიდარულნი იყვნენ ერთ საკითხში: საქართველოს მეგობრული თანამშრომლობა ყაზახეთთან უნდა გაღრმავდეს და აღიარებულ უნდა იქნას ამ სახელმწიფოს ღვაწლი მსოფლიოს მასშტაბით მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

**რევაზ გიორხელიძე**

## კორპუსებში გაზის დეტექტორების დამონტაჟება სავალდებულო გახდება

**ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ნათია თურნავამ ჟურნალისტებს თბილისის მერიაში განუცხადა. მისი თქმით, ძველ კორპუსებში მცხოვრებ მოსახლეობას შეღავათიან პაკეტს შესთავაზებენ.**

**„მთავრობას და კერძოდ, ეკონომიკის სამინისტროს დაწყებული აქვს კანონმდებლობის გამკაცრებაზე მუშაობა. გამკაცრება-ოპტიმიზაცია შეეხება როგორც გაზის მიმწოდებელ კომპანიებს, ასევე მომხმარებლებსაც. ჩვენ დღეს კიდევ ერთხელ განვიხილეთ, რა მიმართულებებით ვმუშაობთ. ეს არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გამკაცრება და ასევე ვისაუბრეთ, თუ როგორ უნდა მივუდგეთ არა მხოლოდ ახალ მშენებლობებს, რაც შედარებით მარტივია, არამედ, დღეს არსებულ საბინაო ფონდს, ძველ კორპუსებს. იქ მთავრობა მზად არის და მერიასთანაც ვიხილავთ საკითხს, რომ გარკვეული პაკეტი შევთავაზოთ მოსახლეობას, ვიდრე ეს მოსახლეობისთვის სავალდებულო გახდება.**




**ჯერჯერობით ვერ გეტყვით რა ფორმით მოხდება ხარჯების განაწილება, თუმცა, მზად ვართ, გარკვეულ შეღავათიან პაკეტზე წავიდეთ", — განაცხადა თურნავამ და დასძინა, რომ პაკეტი პარლამენტს უახლოეს მომავალში გადაეგზავნება.**

◉ ჭადრაკი




# ლევანის დუბლი

**საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა და პრიზიორმა, მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრების წევრმა ლევან ფანცულაიამ ამას წინათ დელის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, გასულ უქმეებზე კი მსგავს წარმატებას ინდურ ჩენაიში მიაღწია: ჩვენებურმა ტურნირში რვა პარტიის მოგებით, თითო ყაიმითა და მარცხით 8.5 ქულას მოუყარა თავი და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.**

ბოლო შეხვედრა მან რუს ალექსანდრ პრედკესთან ყაიმით დაასრულა. მეწინავეთა ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: ივან პოპოვი (რუსეთი) — მაქსიმ ლუგოვსკოი (რუსეთი) 1:0, ივან როზუმი (რუსეთი) — ანდრეი დევიატკინი (ინგლისი) 1:0, ლუკა პაიჭაძე — რუთ რადმინი (ინდოეთის ქალთა ნაკრების წევრი) 1:0, ალექსეი ალექსანდროვი (ბელარუსი) — ჰუ ვან ნგუენი (ვიეტნამი) 1:0, სუსანტო მეგარანტო (ინდონეზია) — პრანეში (ინდოეთი) 1:0.

**საბოლოო შედეგები:** ლევან ფანცულაია (8.5), ივან პოპოვი (რუსეთი 8), ალექსეი ალექსანდროვი (ბელარუსი, 8), ლუკა პაიჭაძე (8), სუსანტო მეგარანტო (ინდონეზია, 8), ივან როზუმი (რუსეთი, 8 ქულა).

**ლექსო ცინცაძე**

◉ ტაბლო

## ფიგურული სრიალი

**მინსკი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები.** 1. ხავიერ ფერნანდესი (ესპანეთი). 2. ალექსანდრ სამარინი (რუსეთი). 3. მატეო რიცო (იტალია). 10. მორის ყვითელაშვილი. 23. ირაკლი მაისურაძე.

## ჩოგბურთი

**მელბურნი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. ქალები. ფინალი.** ნაომი ოსაკა (იაპონია) — პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) 7:6, 5:7, 6:4. ამ გამარჯვებით 21 წლის აფრიკული წარმოშობის აზიელი (იგი დედის გვარით ასპარეზობს) სათავეში ჩაუდგა საერთაშორისო რეიტინგს.

**ვაჟები. ფინალი.** ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 6:3, 6:2, 6:3. ეს „ნოლეს" მე-7(!) ტრიუმფია „მწვანე კონტინენტზე", სულ კი დიდი სლემის მე-15 ტიტული (ჩამორჩება მხოლოდ როჯერ ფედერერსა (20) და რაფაელ ნადალს (17). გარდა ამისა, ბალკანელმა 4 მილიონ 100 ათასი დოლარი (მეტოქემ — 2 მილიონი დოლარი) გამოიმუშავა, მასთან პირად პრინციპულ დუელში კი 28:25 ლიდერობს.

## ხელბურთი

**დანია-გერმანია. მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები. ფინალი.** დანია — ნორვეგია 31:22. **მატჩი III ადგილისთვის.** საფრანგეთი — გერმანია 26:25.

**გიორგი შოთაძე**

◉ ჭიდაობა

# შულცის ტურნირი მოიგო



**ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანების ეგიდით აშშ-ს ქალაქ კოლორადო სპრინგსში ოლიმპიური ჩემპიონის — დეივ შულცის სახელობის საერთაშორისო ტურნირი გაიმართა.**

ქართველთაგან შეჯიბრებაში მხოლოდ ბერძნულ-რომაული სტილის ფალავანი გოჩა დავითაძე მონაწილეობდა. მძიმე წონაში მან ყველა მეტოქე დაამარცხა, მათ შორის ფინალში მასპინძელ ტობი ერიქსონს 7:6 სძლია და პირველი ადგილი დაიკავა.

**სოსო ქებაძე**

◉ კარატე

# სალიცენზიო რეიტინგი გაიუმჯობესა




**საფრანგეთის დედაქალაქმა კარატისტთა 2019 წლის პირველ პრემიერლიგას უმასპინძლა. შეჯიბრებაში მსოფლიოს 85 ქვეყნის 800-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.**

ქართველთაგან (კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია) +84 კილოგრამ წონით კატეგორიაში თავი გამოიჩინა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გოგიტა არქანიამ, რომელმაც ხუთ მეტოქეს სძლია, ფინალში კი ირანელი სალეხ აბაზარი დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა. ამ წარმატებით გოგიტა არქანიამ, რომელიც მსოფლიოს კლასიფიკაციაში მე-4 საფეხურზეა, ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოსაპოვებელი რეიტინგი გაიუმჯობესა.

**თამაზ პატარიძე**

◉ რაგბი ჩვენი თამაშია!

# დიდი 10-იანი არდადეგებიდან დაბრუნდა

**საქართველოს მორაგბეთა 2018-2019 წლების ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე გუნდები ზამთრის შესვენების შემდეგ სარბიელს დაუბრუნდნენ და პირველი პაექრობები გამართეს. „შევარდენზე" პირველობის აუტსაიდერი „არმია" მოქმედ ჩემპიონ „ლოკომოტივს" დაუპირისპირდა. ანგარიში არმიელებმა ზუსტი საჯარიმო დარტყმით გახსნეს, თუმცა, რკინიგზელები მალევე მოეგნენ გონს — მერვე წუთზე ლელო გაიტანეს და უნაკლო გარდასახვაც შეასრულეს. ამის შემდეგ „ლოკომოტივს" მატჩის სადავეები ხელიდან არ გაუშვია და საბოლოოდ 28:9 გაიმარჯვა, თან ბონუსიც ჩაიწერა და შარშან წლის მიწურულს დაკარგული მეორე ადგილიც დაიბრუნა.**



2019 წელი ქუთაისის „აიამაც" გამარჯვებით დაიწყო. რიონისპირელები უახლოეს მდევარს - მარნეულის „არმაზს" თბილისში „შევარდენზე" შეხვდნენ. პირველ ტაიმში უპირატესობას „აია" ფლობდა და ეს ანგარიშშიც აისახა — 17:3. შესვენების შემდეგ ქულების აღების შესაძლებლობა ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ შანსი ვერცერთმა მხარემ ვერ გამოიყენა — მეორე ტაიმი რაგბისთვის უჩვეულო ნულოვანი ფრით დასრულდა.

„ვეფხვები" „ლელო-სარასენსს" პატარძეულში დაუხვდა. წარმატებასთანაც ახლოს იყო, მაგრამ დაძაბული მატჩის გაწითლებულ დროში ყიასაშვილმა მასპინძლებს ლელო გაუტანა და თავის გუნდს საბოლოოდ 22:16 მოაგებინა.

თბილისში „შევარდენზე" ითამაშეს „აკადემიამ" და გორის „ჯიქმა". სტუმრებმა მატჩი აქტიურად, მაღალ ტემპში დაიწყეს და მასპინძლებს 5 წუთში ორი ლელო გაუტანეს. მთელი შეხვედრის განმავლობაში მოედანზე „ჯიქის" მორაგბეები დომინირებდნენ და პაექრობის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე ისინი წინ იყვნენ — 31:0. საფინალო სასტვენამდე „აკადემიამ" მოახერხა პრესტიჟის ლელოს გატანა და მშრალი ანგარიშით წაგებას გადაურჩა. გორელებმა 31:5 იმარჯვეს და საპრემიო ქულაც დაიმსახურეს.

ტურის ცენტრალური შეხვედრა რუსთავში გაიმართა — „ხარებმა" გათამაშების ლიდერ „ბათუმს" უმასპინძლა. ზღვისპირელებმა პირველი წრის მატჩი შინ სწორედ რუსთაველებთან დათმეს, ამიტომ სეზონის დასაწყისში რევანში ეწადათ, მაგრამ მასპინძლებმა პირველივე ტაიმში ხელთ იგდეს უპირატესობა — 10:0 დაწინაურდნენ. მართალია, შესვენების შემდეგ ბათუმელები გააქტიურდნენ და მეორე 40-წუთიანი მონაკვეთი 8:3 მოიგეს, მაგრამ ამ ჩემპიონატში „ხარებთან" მეორე მარცხს (8:13) მაინც ვერ გადაურჩნენ. ამ გამარჯვების შემდეგ რუსთაველები გათამაშების ცხრილში მე-3 საფეხურზე არიან, მაგრამ „ლოკომოტივს" მხოლოდ ქულით ჩამორჩებიან.

**სატურნირო მდგომარეობა: „ბათუმი" — 41, „ლოკომოტივი" — 37, „ხარები" — 36, „აია" — 30, „არმაზი" — 29, „ლელო სარასენსი" — 28, „ჯიქი" — 24, „აკადემია" — 16, „ვეფხვები" — 15, „არმია" — 7 ქულა.**

**ლაშა დიდია**

◉ ინტერნეტიდან

# იცნობდეთ - ვერონიკა!!

**კრიშტიანუ რონალდუსთან განშორებისა და მსახიობ ბრედლი კუპერთან ხვანცალის შემდეგ დიდებული რუს-თათარი ასულის ირინა შეიკის „ტახტი", როგორც ჩანს, თანდათან ირყევა, რადგან პოპულარობითა და სიკისკასით ირინას მძაფრი კონკურენტები არამხოლოდ ევროპაში, მის სამშობლოშიც გამოუჩნდნენ.**

რუსი მოდელი ვერონიკა ისტომინა ერთ-ერთი მათთაგანია, რომელიც ირინას არამხოლოდ კონკურენციას უწევს, არამედ, ბევრი ლამაზმანთმოყვარის აზრით, სჯობს კიდეც და როდესაც მის სულისამაწრიალებელ ფოტოს შევხედავთ, მთლად უხიაგი ხალხი უნდა ვიყოთ, ეს ჭეშმარიტება ჩვენს ბაგეთგანაც რომ არ ამოიღერღოს.

ვერონიკა ისტომინას, მრავალი სხვა ასულისგან განსხვავებით, პოპულარობისათვის ცნობილ სპორტსმენებთან თანაყოფა არასოდეს დასჭირვებია და ეს ვერონიკასთვის სიამაყის მიზეზადაა ქცეული. ასე რომ, იცნობდეთ და ეტრფოდეთ ვერონიკა ისტომინას — გოგონას, რომელმაც ირინა შეიკის "ტახტი" შეარყია!



**კობა კობახიძე**

სანთელი

# თეიმურაზ (თემო) მაჭავარიანი



ქართულმა სახვითმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა, მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი, მხატვართა კავშირის წევრი, ცნობილი მხატვარი, ფერმწერი **თეიმურაზ (თემო) მაჭავარიანი**.

1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი, 1981 წელს კი სამხატვრო აკადემიასთან არსებული შემოქმედებითი სახელოსნო. 1976 წლიდან დღემდე აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საზღვარგარეთ გამართულ სამხატვრო გამოფენებში. მოწყობილი აქვს პერსონალური გამოფენები: 2002 წ. გალერეა „TMS“, თბილისი, 1998 წ. გალერეა „ვერნისაჟი“ თბილისი, 1992 წ. კლუბი „ყაზბეგი“ თბილისი, 1986 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თეიმურაზ (თემო) მაჭავარიანის ნამუშევრები დაცულია როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის მუზეუმებსა და გალერეებში, კერძო კოლექციებში: აშშ-ში, ბელგიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში რენე ბრუაზოს (პომპიდუს ცენტრი) და ანრი დუარეს კოლექციებში, რუსეთში, შვეიცარიაში, პოლონეთსა და მრავალ სხვა ქვეყანაში.

თ. მაჭავარიანი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ მოწყობილ პლენერებში, სიმპოზიუმებში და საქველმოქმედო აქციებში. მიღებული აქვს ჯილდოები, დიპლომები და სიგელები. 2010 წელს მიიღო საქართველოს ეროვნული პრემია.

წავიდა ჩვენგან ნიჭიერი მხატვარი, განათლებული, შესანიშნავი მეგობარი და დაგვიტოვა დიდი ნაღველი და გულისტკივილი.

თემო მაჭავარიანის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი შემოქმედების თაყვანისმცემლების, ოჯახის, ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

**საქართველოს მხატვართა კავშირი**

ხსოვნა

# დემურ სიხარულიძე



გარდაიცვალა უკეთილშობილესი პიროვნება, დიდი პროფესიონალი **დემური სიხარულიძე**, იგი 1970 წლიდან მოღვაწეობდა დედაქალაქის სამგზავრო ავტო-სატრანსპორტო გადაზიდვებში. იყო დედაქალაქის №1, №3, №6 სამგზავრო ტრანსპორტის საწარმოს დირექტორი, შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა. დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ნათესავებსა და ახლო სამეგობროს. განსაკუთრებით ყურადღება გამოიჩინა თავისი მშობლიური სოფლის ბუკისციხის ახალგაზრდების მიმართ.

შევთხოვთ უფალს, ნათელში ამყოფოს მისი სული.

**ნუგზარ ნავაძე, ზურაბ ბაბუნაშვილი, გურამ ბალარჯიშვილი, ნუნუ დობორჯგინიძე, დავით გრძელიძე, მიხეილ დადუნაშვილი, მუხრან ბაგრატიონი, ჯემალ ქადაგიშვილი, თამაზ ფრუიძე, ზურაბ ზურაბიშვილი, ნოდარ ხარაიშვილი, რეზო გრიგოლია, პეტრე მემარნიშვილი, პაატა ბეჟანიშვილი, გია მაისურაძე, ზარიბეგ ბეგიაშვილი, შოთა კაკაბაძე, მერაბ მამულაშვილი, აკაკი ხმიადაშვილი, პაატა შამუგია, ზაურ გიორგაძე, ალეკო ოღლიშვილი, მერაბ მამულაშვილი, ელგუჯა გაბეჩავა, ნუგზარ წერეთელი, ტერენტი ენდელაძე, ვახტანგ აბულაძე, ოთარ გრიგოლია, დავით ბალუაშვილი.**

მოულოდნელი რაკურსით



# კახური რქაწითელი მარსზე გაფრინდება?!

**საუბარს**, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, კახეთის ერთ ძირძველ სოფელში შევესწარი. ზამთრის გრძელი ღამეებით გულგაწვრილებული მობიზნესე გლეხკაცები ქუჩისპირად გადებულ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ და თავს ტელეგადაცემებში ნანახი ჭრელაჭრულა ამბებით იქცევდნენ.

— გაიგეთ ხალხო? — წამოიწყო თავის ქექვით ზალიკომ, — კოსმოსში რა ამბები ხდება?

— კოსმოსი კი არა და, — სიტყვა ბანზე აუგდო ინდიკომ, — ნეტა ის გაგვაგებინა, ეს ჩვენი ხელთუყარი მთავრობა ამ ტანჯულ დედამიწაზე საითკენ მიგვერეკება?

— ვიდრე მაგას გავარკვევდეთ, მანამდე აგე, მეცნიერებმა გვაცნობეს, რომ მარსზე თურმე ზვრების გაშენებას აპირებენ. ამასთან, ისიც გვაუწყეს, ვაზის ნერგის წაღებას რომელი ქვეყნიდან ვარაუდობენ.

— და რა თქვეს, — ყურები ცქვიტეს მეზობლებმა, — რომელი ქვეყნიდანაო?

— რა თქმა უნდა, საქართველოდანაო. ვაზის სამშობლო საქართველოა და ნერგსაც იქიდან წავიღებთ, თანაც კახური რქაწითელისასაო.

— აგაშენათ ღმერთმა, — ამოიხვნეშა კენკებაანთ მიტუამ, — სიმართლე უთქვამთ, მთელ დუნიაზე, აბა მითხარით, კახელებზე უკეთესად ვაზის ყადრი და ფასი ვის გაეგება?

— ჰო, მაგრამ, საქმე საქმეზე რო მიდგეს, მარსზე ვითომ გაფრინდები? — შეეჭვდნენ მეზობლები.

— რას მიქვია გავფრინდები, ამ ჩემ შვილობილ რქაწითელთან ერთად კიდევაც გავფრინდები და იქ მარსის გაშლილ ველებზე კიდევაც გავაზვარებ.

— მიტუავ, ნამეტანი ნუ ატრუვდები, — ურჩია ინდიკომ, — შენ კი გაფრინდები, მაგრამ ეს ჩვენებური რქაწითელი იქაურ ნიადაგს როგორ შეეწყობა, ამაზეც ხო უნდა იფიქრო? ამას თავი გავანებოთ, მოსავალს რო აიღებ, ქვევრი თუ არ გექნა, რაში უნდა ჩაწურო, ან მიღებული ღვინო რომელ ქვეყანაში უნდა გაიტანო გასაყიდად?

— რომელში და მეზობელ რუსეთში, ადრე განა ღვინოს ყოველთვის მეზობელი რუსეთის ბაზარში არ ვასაღებდით.

— რუსეთი აქ, დედამიწაზე არის ჩვენი მეზობელი, ჩემო ძმაო, თორემ იქაც კი აღარ იქნება. როგორც გავიგე, რუსეთს ჩვენთან მეზობლობა აღარ სურს და მარსზე მიწების ყიდვაზე უარს აცხადებს.

— მით უკეთესი, თუ გაგვებუტება, მაგასთან ფლირტის თამაში აღარ დაგვჭირდება და ნატოში შესასვლელი კარიც ერთბაშად გაგველება.

— ვნახოთ, თუ მარსმა გაგვიმართლა და იქ დავსახლდით, ნატო ალბათ აღარც დაგვჭირდება. მთავარია, ამერიკა იყოს ჩვენს გვერდით და აღარაფერი გაგვიჭირდება.

— ჰო, რა თქმა უნდა. ამერიკელები, როგორც მახსოვს, ვიდრე მარსი გამოჩნდებოდა, მგონი მთვარესაც სტუმრობდნენ.

— არ დაიჯერო, დანამდვილებით ვიცი, ისინი მთვარეზე საერთოდ არ ყოფილან. ჩვენ, საბჭოელებს გვაცუცურაკებდნენ, თორემ მთვარეზე რომ დამსხდარიყვნენ, ახლა ისეთი ბიზნესი ექნებოდათ გაჩაღებული, რომ ნავთობის საბადოების საოკუპაციოდ ერაყ-სირიის ომი აღარც კი დასჭირდებოდათ.

— შენ ფიქრობ, რომ მარსზე ნავთობისა და გაზის საბადოებიც იქნება?

— აბა იმხელა პლანეტა ტყუილად ხომ არ გასცდება? რაც შეეხება ნიადაგს, თუ მაინცდამაინც იქაურმა სავენახედ არ ივარგა, მიწას სულაც საქართველოდან შევიტანთ.

— მაგრამ ბენდუქიძე ცოცხალი აღარ არის და ამდენ ქართულ მიწას ვინ მოგვყიდის?

— სამაგიეროდ, ახალი მინისტრები გვყავს, ალებ-მიცემობა ჩვენში დღეს ყველას კარგად ეხერხება.

— ეს გასაგებია, — დაეთანხმა მიტუა, — მაგრამ ჩვენ, უბრალო ხალხი, ვისაც ფული არა გვაქვს, მარსზე მიწებს როგორ შევისყიდით?

— ხალხს თუ არა აქვს, მთავრობას ხომ აქვს? როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვე, ჩვენი მთავრობა სამ თვეში უკვე მარსზე იქნება და იქ უზრუნველად იცხოვრებს.

— მერე ჩვენა?

— ჩვენა, ჩემო ძმაო, სხვა თუ ვერაფერი მოვახერხეთ, ავდგეთ და იუპიტერზე დავსახლდეთ. იქ თურმე მიწები აუთვისებელია და უფასოდ არიგებენ.

— მერე, მთავრობა რას იზამს, იუპიტერზე მარსიდან გვიხელმძღვანელებს?

— სხვა გზა რომ არ ექნება, შე კაცო, უპატრონოდ ხომ არ მიგვატოვებს. პასუხისმგებლობას რომ თავი დავანებოთ, ხალხი თუ არ მწყემსა, პრემია-დანამატებს ჰაერზე ხომ ვერ გამოიწერენ?

**ოთარ ხუციშვილი**

სს ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ექიმი, მეან-გინეკოლოგი



# თამაზ ნიკოლოზის ძე ქლენტი

თამაზი იყო მაღალი დონის პროფესიონალი მეან-გინეკოლოგი, გულისხმიერი ექიმი. ის ერთგულად ემსახურებოდა თავის საქმეს. იყო კეთილშობილი ადამიანი, კარგი მეგობარი, მამა და ბაბუა.

თამაზის წასვლამ საოცრად ატკინა გული თავის მეგობრებს, კოლეგებს და ოჯახის წევრებს. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მათ გულებში.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა. უფალმა ნათელი დაუმკვიდროს მარადიულ სასუფეველში.

გივი, ნესტანი, ზურა, დიმიტრი აბდუშელიშვილები დიდი გულისტკივილით იზიარებენ ახლო მეგობრის ოჯახის ნუგზარ და ტატა ენდელაძეების ვაჟიშვილის

## ვახტანგის

უდროოდ გარდაცვალებას.

---

მეუღლე რუსიკო ფოჩხუა, შვილი თეა ცანავა, სიძე კახა ნადარაია, შვილიშვილები გურამი, გვანცა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ანზორ ცანავა

დაკრძალვა ქ. ზუგდიდი 31 I, 15 საათზე, მისამართი: წალვერის ქ. №33,

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79; 568 82-09-84

# რუმინეთში ბესიკ გაბაშვილის ძეგლი გაიხსნა



**რუმინეთში მიმდინარე ქართული კულტურის დღეების ფარგლებში, ქალაქ იაშის ისტორიულ ცენტრში ქართველი პოეტისა და დიპლომატის ბესიკ გაბაშვილის ბიუსტი გაიხსნა.**

საგარეო უწყების ცნობით, ღონისძიების ფარგლებში, პირველად იქნა წარმოდგენილი რუმინულ ენაზე თარგმნილი ბესიკის ლექსების კრებულის მეორე გამოცემაც. ასევე გაიმართა ბესიკის ეპოქის რუმინეთისა და საქართველოს ამსახველი ფოტოსურათების გამოფენა და თბილისისა და ქუთაისის თანამედროვეობისადმი მიღვნილი გამოფენა – „თბილისი, ქუთაისი – კულტურა გვაახლოებს“. ღონისძიება განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებდა, რადგან პოეტმა ბესიკ გაბაშვილმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები სწორედ რუმინეთში, ქ. იაშში გაატარა.

ქართული კულტურის დღეების ფარგლებში გაფორმდა ასევე შეთანხმება ქალაქ იაშისა და ქალაქ ქუთაისის დამეგობრების შესახებ. ღონისძიებას კულტურის ცნობილი მოღვაწეები და ლიტერატურის კრიტიკოსები, რუმინეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი, ქალაქ იაშის მერი მიხაი კირიკა და ქუთაისის მერიის დელეგაცია მერის გიორგი ჭილვარიას ხელმძღვანელობით ესწრებოდნენ.

ქართული კულტურის დღეები რუმინეთში 24-25 იანვარს გაიმართა, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც რუმინეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციას მსგავსი მასშტაბის ღონისძიებები დაეთმო.

# იცით თუ არა, რომ...

**...თანამედროვე** ცხოვრების ნირის გამოისობით, უმჯობესია ახალგაზრდა ოჯახებმა ბავშვის გაჩენა წინასწარვე დაგეგმონ და ფეხმძიმობამდე 3-4 თვით ადრე ფოლის მჟავის სმა დაიწყონ, რაც მომავალ პატარას მრავალი სნეულებისგან დაიცავს;

...მაღალი მოდის საქვეყნოდ ცნობილი მეტრი ჯორჯო არმანი განათლებით კურსდაუმთავრებელი თერაპევტია;

...თავის ნაწარმოებთა გაკრიტიკების უფლებას დიდი გერმანელი კომპოზიტორი რიჰარდ ვაგნერი მხოლოდ საკუთარ ძაღლს აძლევდა;

...მსოფლიოში ყოველწლიურად სანაგვეებზე საჭმელად სავსებით ვარგისი 90 მილიონი ტონა საკვები იყრება;

...მუსიკალური სმენა სრულებით არა აქვს ადამიანთა მხოლოდ 25 პროცენტს, დანარჩენებში კი მისი განვითარება სავსებით შესაძლებელია;

...შაქრის შემცველობისდა მიხედვით, შამპანური რამდენიმე ხარისხად იყოფა: **ბრიუტი** (ერთ ლიტრში 15 გრამზე ნაკლები), **მშრალი** (20-20 გრამი), **ნახევრად მშრალი** (40-45 გრამი), **ნახევრად ტკბილი** (60-65 გრამი) და **ტკბილი** (80-85 გრამი), თანაც, რაც უფრო ნაკლებია მისი შემცველობა, მით უფრო კეთილშობილია სასმელი.

# მავნე შაქარი

**კანის მთავარი მტერი შაქარი ყოფილა. დიეტოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ გლუკოზა პროტეინების (მათ შორის ცილის აგებულებაში მონაწილე მნიშვნელოვანი კოლაგენის) სტრუქტურების რღვევაში მონაწილეობს.**

ამის გამო კანი ელასტიკურობასა და სიმკვრივეს კარგავს, ნაოჭებს იჩენს. დღე-ღამეში შაქრის ულუფის 22 პროცენტით მომატების შედეგად (ნორმა კი 120 გრამია), კანის დაბერება შეუქცევადი ხდება.

# დაასხი და... ნუ დალევ

**მეცნიერებმა ალკოჰოლიზმის გენს მიაგნეს.** ეს აღმოჩენა ხსნის



იმას, თუ რატომაა, რომ ზოგიერთ ადამიანში ალკოჰოლი მოკლე დროში დამოკიდებულებას იწვევს, ზოგს კი ასეთი რამ, არასდროს ემართება. მკვლევართა აზრით, იმ გენის სტიმულირება შესაძლოა, ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან ხერხად იქნას გამოყენებული.

# პარიზში უნიკალური ნახატი მოიპარეს

**დაუდგენელმა პირებმა პარიზში ბენქსის ნამუშევარი მოიპარეს. ანონიმმა ქუჩის მხატვარმა გრაფიტი, რომელზეც მგლოვიარე ქალის ფიგურაა გამოსახული, 2015 წლის ტრაგედიის შემდეგ, ბატაკლანის საკონცერტო დარბაზის კარზე შექმნა და პარიზის ტერაქტების შედეგად დაღუპულ 130 ადამიანს მიუძღვნა.**




გამტაცებლებმა გვიან ღამით კარიდან გრაფიტი ამოჭრეს და სატვირთო ავტომობილით წაიღეს.

ქურდობის შესახებ ბატაკლანის ადმინისტრაციამ მხოლოდ დილით შეიტყო, როდესაც სამსახურში მისულებმა ბენქსის ნამუშევრის ნაცვლად ადგილზე ნახევარი კარი აღმოაჩინეს. გამოძიება დამნაშავეებს ეძებს.

# როდის დატოვებენ ავღანეთს უცხოელი ჯარისკაცები?

**ავღანეთში ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალური წარმომადგენლის ზალმაი ხალილზადის განცხადებით, აშშ-ის და „თალიბების“ წარმომადგენლებმა, მოლაპარაკებებზე, ავღანეთში კონფლიქტის დასრულების პროცესში „მნიშვნელოვან პროგრესს“ მიაღწიეს.**

აღსანიშნავია, რომ თალიბანმა ავღანეთის ხელისუფლებასთან პირდაპირ დიალოგზე უარი განაცხადა, თუმცა, დიალოგს აშშ-ის წარმომადგენლებთან აწარმოებს. მედიის ცნობით, შედგა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პროექტი, რომლის მიღების შემთხვევაში, ავღანეთს უცხოელი ჯარისკაცები ხელმოწერიდან 18 თვეში დატოვებენ.



# გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

**დემოკრატიულ** საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად ისევ უჭირს. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.6573; ევრო - 3.0123;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4744
100 რუბლი - 4.0221; თურქული ლირა - 0.5033;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5675;
1000 სომხური დრამი - 5.4733.

**ამინდი 29 იანვრისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე 0, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -4, | დღე +10 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +2, | დღე +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -4, | დღე +10 |
| თბილისი: | ღამე +4, | დღე +12 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge